

ალექსანდრე ნებულიძე

გოთიკა

"I wish, I had an angel!..."

"Nightwish"

მრისხანე სატერის შემქმნელს - მჭედელს - თვალზე ბინდი გადაეკრა და მახვილის ნაცვლად ჩაიდანა გამოქედა. ვერ არის საქმე რიგზე - მას ვიღაცის გამო დორბლი სდის და გულზე ეწუწება. ჩაიდნებს ჭედავს, ფინჯან ჩაიზე და ოჯახურ მყუდროებაზე ფიქრობს და სადაცაა შიბაქების თლასაც დაიწყებს... ვაიმე! ამის დრო იყო?! ის მეომარია, ჰეგესტოს მოციქული და დევმირთა ხმლების შემოქმედი. უნდა იომოს და სხვებიც აომოს, დაუმზადოს ფოლადის კიდურები. ეს კი ზის და შიბაქებს თლის...

სიყვარულზე უარი უთხრეს, არც მისი ჩაიდნები მოიწონეს და შიბაქები კი სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა.

- რას აკეთებ, კაცო? - შიბაქები ქურაში შეყარა და დაუბერა, მერე ის ჩაიდნები და უთოებიც (უყურე ამას, უთოებიც გაუკეთებია!) გადაადნო და მოწყურებული ყალიბი ააშიშნა. მისი ფოლადი, წითელი ფოლადი, კვლავ თავის ადგილზეა. რაღა დროს ჩაია, ომია გარეთ!

ნაპერწყლები, ურო და ოფლით სასვე დაღლილი დარტყმები. არ ჩერდება, ხმალი მზადაა. ისევ შიშინი და ორთქლავარდნილი ვარცლი. უარი უთხრეს, უარი! ამიტომ აღარაფერი აინტერესებს, წავა და ამ ხმლით იომებს, დედას უტირებს მტერს! აქ აღარაფერი დარჩა, უნდა იომოს! მოუვა რამე? ეგ არაფერი, მეომარია, იშვა იმისთვის, რომ მოკვდეს, ამიტომ სამშობლოსთვის მოკვდება, ანუ იმისთვისაც მოკვდება, უარი რომ უთხრა და სასიკვდილოდ გაიმეტა. ცოტა იქნებ გული აუჩუყოს, ერთი ცრემლი მაინც გადმოაგდებინოს!

ჩეხა, ჩეხა, ჩეხა იმ დალოცვილი ფოლადით და მერე თავადაც გაუყარეს ზურგში თათრული სატევარი. აი, მოკვდა, როგორც ჩაიფიქრა. არაფერი დანანებია. მოკვდა და იფიქრა: "ახლა რაღა ვქნა?" უცებ მიწა გაიხსნა და უნებურად ქვევით ჩაძვრა.

- ვედარაფერს იხამ, გენაცვალე, ახლა ჩვენ გვაცალე! - გაეპასუხა ბელიარი ქვაბში, რომელიც მჭედელმა ზომით უფრო თავწაჭირი ავხს მიახმავს. რაღაც სქელ, ბლანტ, ყავისფერ მასას მოურიან, შემდეგ ვეება ციცივით ცოტა ამოიღო და მოხვრიბა:

- თფუ! ბრე! - გაამაგაგა, - უფრო სწორად, კარგია! აბა, მიდი, ჩახტი, მე აქვე მეზობელთან გადავარბენ და შენ ყოველ ნახევარ საათში მოურიე ამ ციცივით, - უფრო პატარა ციცივი მიაწოდა, - ჩემსას ვერ მოერევი...

და ბელიარს სიტყვა გაუწყდა, ჩრდილოეთის ციალივით გაიელვა რაღაცამ და მჭედელი ზევით გააქანა. ვერაფერს ხედავდა, უბრალოდ გრძნობდა, რომ რაღაცას ეჭირა და ზემოთ მიათრევდა. ჩაუქროლეს ბრძოლის ველს და ერთხელაც დახედა თავის თავს: თვალბედაჭყეტილი, პირზე სისხლშემხმარი, ბექთარაყრილი, უშნო...

- ასეთს ვინ მიპასუხებდა სიყვარულზე, შიბაქები კი არა, გინდა სამოვრები მეკეთებინა!

- კიდევ კარგი, მიხვდი! - ეს ვიღაც დიადმა უთხრა, - შენ თუ არ იცი რა ქნა, მაშინ ჩვენ მოგვენდე, გაგზავნით მასთან, ვის გამოც აქ აღმოჩნდი და მისი მფარველი ანგელოზი იქნები სანამ ცოცხალია. მერე ვნახოთ! შენი ხმალი ისევ გქონდეს, დაგჭირდება!

ახლა ის კვლავ თავის სიყვარულთანაა, უგერიებს ხმლით ბოროტ სულებს, შურს მისი ქმრის და მწარედ იხსენებს ჩაიდნებს...

ლიზა ჭეიშვილი

გზა ნავისაკენ

ვიხედები და ვუყურებ პატარა ბორცვს. ბორცივი კი ნავის ბუდედ გადაქცეულა. ჩემი წასვლის დროა. დღეს სახლში ერთი პური უნდა მივიტანო. ნელ-ნელა ბორცვისკენ მივებურები. გზადაგზა მეზობელი სახლებიდან გადმოყრილ ნაგავს ვათვალიერებ, იქნებ ჩემთვის სასურველ რამეს წავაწყდე. გული ამიჩქარდა - წინ სპილენძის დიდი ნაჭერი დავინახე. დღეს სახლში პური გვექნება.

ანდრო ვაჭრიძე

პოტენციური მკვლელი

- ჩვენმა სკოლამ გადაწყვიტა, წყალდიდობით დაზარალებულ მოსახლეობას დაეხმაროს, - ამ სიტყვებით დაიწყო მეცხრე კლასში შესულმა ნინო მასწავლებელმა ბავშვებთან საუბარი.

ბოლო მერხზე მჯდომმა ნათიამ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ვიღაც ცდილობდა გული ამოეგლიჯა მისთვის. გული, რომელიც სისხლისგან იცლებოდა... „ღმერთო! მე თვითონ... ვარ დასახმარებელი,“ - გაიფიქრა და გაახსენდა, უკვე 6 თვეა, რაც ოჯახში მხოლოდ ჭადს აცხობდნენ, ისიც გაახსენდა, ათი დღის წინ მეზობელმა რომ ერთი ტომარა სიმინდი მისცა დედამის და ისიც, სოფლის ორღობეში მიმავალს, როგორ აღიზიანებდა თონეში ჩამცხვარი პურის სურნელი, გაახსენდა, როგორ უნდოდა, პურის გემო ეგრძნო. „გაბუა რომ არ მომკვდარიყო, ასე არ გაგვიჭირდებოდა, მაღაროს პენსია პურის ფქვილის მაინც ყოფნიდა. სანამ ცოცხალი იყო, პური არ მომნატრებია... ახლა... სამადლოდ მოცემული ფქვილიც ილევა, ნეტავ მერე რა იქნება!“ - ასეთ ფიქრებში ვერც კი გაიგო მასწავლებელი როდის მიუახლოვდა და მკაცრად ჰკითხა:

- რატომ არ მისმენ?!

შემკრთალმა არაფრისმოქმელი თვლებით შეხედა და პასუხი არ გასცა. ნათიას ერთი სიტყვაც არ გაუგონია მასწავლებლის საუბრიდან. მისი ფიქრი ისევ დაცარიელებულ ტომარას მისწვდა. მერე მამის ღვინით დასიებული თვლები, გაბოროტებული მხერა, მუდმივი ჩხუბი, ნაცემი დედა და დამსხვრეული მინები წარმოუდგა თვალწინ... ისევ იგრძნო გულის ტკვილი, ისევ ეგონა, რომ ვიღაც გულს ხელით უწურავდა.

მერე მუდმივად მშვიდი და მეზობლების ხელისშემყურე ორი პატარა და გაახსენდა. ორი დღის წინ ერთმა... თბილი პურის ნატეხი მოუტანა და უთხრა: „ჭამე“. ნათიამ ცდუნებას ვერ გაუძლო. იმ ღამეს ვედარ დაიძინა. გვიან მიხვდა, რომ დაიკო მშვიდი დაწვა...

ისევ აუკვნესდა გული. გაკვეთილზე გაჩერება ვერ შეძლო. მასწავლებელს სთხოვა გარეთ გაემხრა. უმიზნოდ გაუყვა სოფლის შარაგზას. ყოველთვის სჯეროდა, რომ მისი უბედურების მიზეზი მამა იყო. რაც თავი ახსოვდა, მის მიმართ სიყვარული არ უგრძნობდა. პირიქით, სძულდა თუ ეშინოდა, ვერ გეტყვოდათ. იმდენჯერ არ შეუშვა სახლში, იმდენჯერ გაათენა ღამე ვენახის ბოლოში, იმდენჯერ დაემალა მეზობლის სახლის სარდაფში, იმდენჯერ ცემა უმიზეზოდ, რომ ასეთებს უკვე შეეჩვია, იმას კი ვერ აცნობიერებდა, როგორ თანდათან იზრდებოდა სიძულვილი მამის მიმართ, მისი დანახვა აღარ უნდოდა. ნატრობდა, სახლში არ დახვედროდა, ან ისე უგონოდ მთვრალი ენახა, რომ ორი დღე მაინც არ მოსულიყო გონს.

დედასაც უჭირდა ამ გაუსამლის ყოფაში. სანამ დამამშვიდებელი და ძილისმომგვრელი წამლები ჰქონდათ, დედაც და შვილიც თავს უკეთ გრძნობდნენ, წამალს თვითონ კი არა - მამას ასმევდნენ.

ასე გადიოდა დღეები, კვირები, წლები. ბოლო დროს უცნაური აზრი აეკვიატა. "მოკვლავ", - ფიქრობდა და ეს ფიქრი თავგზას უზნევდა, აფორიაქებდა, აშფოთებდა, მარღვებში სისხლს უყინავდა.

ერთხელ ბავშვებისგან შეიტყო, ერთმა მილიარდელმა რაიონის ობლებს ორასლარიანი პენსია დაუნიშნაო. ცოტა ხნის მერე ეს ინფორმაცია დადასტურდა და ნათიას ტანჯვაც დაიწყო.

ახლაც, ორღობეში მიმავალს, ეს ფიქრი არ ასვენებდა: რა იქნება, მეც რომ ობოლი ვიყო, რამდენი პრობლემა მოგვარდებოდა... წუთოვ ცოდვად ჩამეთვლება იმ ადამიანის მოკვლა, რომელიც სხვისი ტანჯვით ტკბება?

ფიქრიდან მანქანის მუხრუჭების ხმამ გამოიყვანა. მძღოლის ყვირილისა და ლანძღვისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მარღვებში ისევ გაეყინა სისხლი, ისევ ორასი ლარი გაახსენდა.

ისევ აკანკალდა სიცივისაგან თუ ცდუნებისაგან. უკვე მერამდენეჯერ წარმოიდგინა სადგომში ჩასვენებული მამა. ეჭვი არ ეპარებოდა, ერთ ცრემლსაც რომ არ გაატანდა...

ისევ გაეყინა მარღვებში სისხლი, ისევ აუთრთოლდა სხეული, გარდაცვლილი მამის წარმოდგენა ძნელი არ იყო. ის კი აღარ იცოდა, როგორ უნდა მომკვდარიყო მამა.

ცდილობდა, ეს აზრი თავიდან ამოეგდო. ამაოდ! თავს ვერ ართმევდა, თითქოს მასში დემონი ჩასახლებულიყო და მბრძანებლობდა.

ისევ გაუწყდა აზროვნების ძაფი. ისევ გაახსენდა ორასი ლარი... მეყსეულად დაადგა საავადმყოფოსკენ მიმავალ გზას. მერე სართულზე ნევროპათოლოგის კარზე დააკაკუნა. გოგი ექიმი იცნობდა. მამას სწორედ ის მკურნალობდა ხანდახან.

- ნათია! ცუდად ხარ?

- არა, გოგი ექიმო, დედამ წამოსვლა ვერ მოახერხა, გთხოვ, იქნებ მიწერილობა მომცეო, თქვენი ნებართვის გარეშე აფთიაქიდან დიაზეპამს არ აძლევენ!

ექიმს... ეჭვი არ შეჰპარვია. გოგონამ ათრთოლებული თითებით ძლივს გამოართვა ფარატინა ფურცელი. ეს ფურცელი... მიეხმარებოდა მიზნის მიღწევაში. ეზოში გამოსულს ძალა არ ეყო და ხეს მიეყრდნო. ცოტა სული მოითქვა და გზა განაგრძო.

თამუნა ხაჯალი

ძმა ძმისთვისაო...

ძლივს მიათრევდა მძიმე ტვირთს. ტვირთის სიმძიმეს კიდევ აიტანდა კაცი, კონდახის ცემასაც გაუძლებდა როგორმე, მაგრამ დედის გინებას? სულში ჩაფურთხებას? ვერა!... უცემდებოდა გული...

როგორც იქნა, მომქანცველი გზაც დაილია. დანგრეულ შენობასთან საჩქაროდ მირეკვს ტყვეები. ჩაიმუხლნენ. ვიღაც გენერლის გამოსვლისთანავე კედელთან ჩაამწყრივეს. სასიკვდილო განაჩენი მოახლოვდა!

ჩუმი ჩურჩული ამრწუნებდა გულს...

ბავშვობის წლები ამოტივტივდა გონებაში რატომღაც: მოკლე შარვლით დარბის სოხუმის ქუჩებში...

ავტომატის ჯერამ ფიქრი გაუწყვიტა. სამოცდაათი კაციდან ოცდახუთი აღარ იდგა ფეხზე. აფხაზების მცირე თათბირის შემდეგ კვლავ გაისმა ავტომატის ხმა. ისევ თათბირობდნენ და ტყვეების წინ გამომწვევად იქცეოდნენ...

ან კი შეუძლია დანისხულ გონებას სხვების თვალყურის დევნება?! მაინც შენიშნა ცრემლდანამულმა _ აფხაზი ჯარისკაცი აკვირდებოდა გაფითრებული...

შემდეგ ბუნდოვნად ახსოვს - დალილს ხელში ბარი მისცეს და წინ წაიმძღვარეს. სანამ ადგილზე მივიდოდნენ, ტყეში გადასახვევი იყო. იმ აფხაზმა, გვერდით რომ მიჰყვებოდა და რაღაცას აგონებდა წარსულიდან, ხელი ჰკრა და შეუმჩნევლად გზიდან გადაახვევინა...

მერე? მერე გარბოდა შეუჩერებლად...

შორიდან ისევ ისმოდა ავტომატის ხმა.

მარიამი დღუნისვილი

სიცოცხლეს გაუმარჯოს!

მთელი კვირაა გადაუღებლად წვიმს.

შორს შავად მოჩანან დამწვარი ნაძვები და ნახევრადანგრეული სახლები.

სოფელში რამდენიმე მოხუცი და შვიდი თუ რვა ბავშვია. მათაც შეეძლოთ გასცლოდნენ აქაურობას, მაგრამ თავს ვერ მოერივნენ, რაღაც ძალამ მიაჯაჭვა აქაურობას.

დღეები უსასრულოდ გაგრძელდა.

ამ ცოდვა-მადლით დამძიმებულ ქვეყანაში პატარა ბიჭს ეჩვენება, რომ ზღვა გამწყრალია, ბუნება ტირის, გაზაფხული გაბუტულია და სადღაც იმალება. ბიჭი მარტის თვეში ექვსი წლის გახდა. თავი უკვე დიდი ჰგონია, სექტემბერში სკოლაში უნდა წავიდეს. უკვე აქვს დედა ენა.~ უკვე იცის, რომ მისი სამშობლო საქართველოა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ბიჭს არ ესმის, რატომ იღვრება სისხლი, მაგრამ უყვარს სიცოცხლე, თავისი სოფელი. მისი სული აფორიაქებულია, ვერ ეგუება სისასტიკეს. ადრე ცელქობდა, დარბოდა ეზოში, ხშირად თავსაც აბურებდა უფროსებს შეკითხვებით. უკვე ორი დღეა თავისთვის ჩუმად ზის. ნაღვლიანი, დიდი შავი თვალებით შორს იყურება, ტუჩები მაგრად აქვს მოკუმული, ფიქრობს და ფიქრობს. ღამით რამდენჯერმე ხმამაღლა ალაპარაკდა მძინარე და ისევ მიჩუმდა. დილით ლოგინიდან ადგომა დაეწარა. იწვა ჩუმად, ერთ წერტილს მიმტერებოდა. შუადღისას ლოყები შეეფაკლა, თვალები აუწყლიანდა, სუნთქვა გაუხშირდა. შემდეგ თავისტკივილი დაეწყო. დედა და ბებია საწოლთან ისხდნენ, ეფერებოდნენ, ამშვიდებდნენ, მის გამხიარულებასაც ცდილობდნენ, მაგრამ ვითარება ვერ იტევდა ხალისსა და მზიარულებას.

მამა და ბაბუა არ იყვნენ სახლში. ასეთ დროს მათი ადგილი ხომ ცეცხლის ხაზზეა, ქალები შფოთავდნენ, ბიჭის ავადმყოფობამ შიში გააათკეცა, მაგრამ მხნედ იყვნენ, ან რა უნდა ექნათ, ახლომახლო მათ გარდა არავინ იყო. ბიჭს ექიმი სჭირდებოდა, წამალი უნდოდა. ნორჩი სიცოცხლე ბედის ანაბარა ებრძოდა ავადმყოფობას. თითქოს მისი პატარა გონებაც გრძნობდა, რომ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ასაკისათვის შეუფერებელი სიმშვიდით ითმენდა ტკივილებს. არ კენესოდა, არ შფოთავდა, იწვა თავისთვის ჩუმად. საღამოს, ერთი ხანობა სროლის ხმაც მიწყდა. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ბიჭის აჩქარებული სუნთქვა არღვევდა. დღემილი უფრო მძიმე იყო. დედის გული ავისმომასწავებლად ღელავდა, თანდათან განწირულობის განცდა ეუფლებოდა.

დილით ბიჭმა გონი დაჰკარგა, აღარც სროლის ხმა აკრთობდა, არც დედის ალერსი ესმოდა. რაღაც სასწაულით მამა და ბაბუა დაბრუნდნენ სახლში. ვერც მათ შეძლეს რაიმე ეღონათ ბიჭის გადასარჩენად. თვალსა და ხელს შუა ჩაქრა პატარა სიცოცხლე. მშობლებმა სასწრაფოდ შეკრეს სასახლე, დრო არ ითმენდა. არავინ იცოდა დილა რას უქადდათ, განსჯის დრო არ იყო. ბავშვი იმავე ღამეს საგვარეულო სასაფლაოზე მიწისთვის უნდა მიეზარებინათ. არც ეს იყო ადვილი. სასაფლაო მდინარის მერე ნაპირზე იყო, ხოლო ღამე _ ბნელი და უმთვარო. ხიდი აღარ იყო. ისმოდა ტყვიების ზუზუნი. კოკისპირულად წვიმდა. ადიდებული მდინარე სწრაფად მოდიოდა, წყალი ცივი იყო და ღრმა.

მამამ და ბაბუამ კუბო ძალა ასწიეს და ტყვიების წვიმაში მტკიცე ნაბიჯით შევიდნენ წყალში. მამამ იგრძნო, რომ სიკვდილმა თვალეზში ჩახედა, თუმცა ტყვია არ მოხვედრია. მამას არ შეეშინებია. მთავარია, მშვიდობით მიაბაროს შვილი მიწას, მერე რაც უნდა, ის მომხდარა. ტყვიების წვიმა მატულობს. მამა გრძნობს, რომ შეიძლება ნაპირს ვერ მიაღწიოს.

არ ახსოვს, როგორ და როდის აღმოხდა:

- მკვდარი ბავშვი მიმყავს, არ შემშინოთ!

სროლა შეწყდა. სამარისებურ სიჩუმეში ვიღაც გამოეპასუხა:

- "Иди с богом!"
ბიჭი მშვიდად მიაბარეს მშობლიურ მიწას.

ნანა ფირცხალაშვილი

ვერცხლისფერი ზოლი

ჭიამაია, როცა საფრთხე ემუქრება, ყაყაჩოს მიეკვრება წითელ, ატლასივით ნაზ და პრიალა ფურცელზე. მიეკვრება და გაინახება. წითელია ყაყაჩოც და წითელია ჭიამაიაც. ჭიამაიას აღარ ემინია, მიპოვის ვინმე და გადამყლაპავს...

ბუსუსებივით პაწია უღვაშებს ალერსით უცაცუნებს ყაყაჩოს ფურცელზე, ყაყაჩო კი აკვანივით ირწევა. ერთმანეთს ტკბილად ებასებენ.

ერთ დღეს ჭიამაიამ ეზოში გასეირნება გადაწყვიტა. უცებ ბრჭყვიალა, ვერცხლისფერ ზოლს მოჰკრა თვალი. ძალიან მოეწონა ზოლი: გრძელი იყო, სადღაც მიდიოდა და იკარგებოდა.

- რა ლამაზი გზაა, - თქვა ჭიამაიამ, - მოდი, გავყვები, - გაჰყვა კიდეც.
- სად მიდიხარ, ჭიამაია, რა გზას მიჰყვები, იცი სად წაგიყვანს? - დაუძახა ჭიამაიას წითელმა ყაყაჩომ.
- ლამაზი გზა ლამაზ ადგილას წამიყვანს, - მიაძახა ჭიამაიამ.
- რა იცი, რომ ლამაზია?
- ვერ ხედავ, როგორ ბრჭყვიალებს?
- ბრჭყვიალებს, მაგრამ არ ანათებს! - გაუჯავრდა ყაყაჩო.
- ანათებს!
- არ ანათებს!

- ანათებს! - გაჯიუტდა ჭიამაია და გზა განაგრძო. იარა, ბევრი იარა. ვერცხლისფერმა გზამ ეზოდან დიდი სახლის აივნის ქვეშ შეიყვანა, მერე აივნიდან ბნელ ნესტიან სარდაფში შეაძვრინა...

მიიხედ-მოიხედა ჭიამაიამ.
- უი, აქ სად ამოყვავი თავი?! - შიშით აცახცახდა. ბნელი სარდაფის ჭერში თავდაყირა ეკიდნენ ღამურები და წრივნიბდნენ, კუთხეები აბლაბუდებით იყო სავსე, იქ საშინელი გაბობლილი ობობები ჩასაფრებულიყვნენ, თვალებს აბრიალებდნენ, პირს აწკლავუნებდნენ..

- იქ რომ გავება?! ღამურებმა რომ გადამყლაპონ?!
მერე რაღაც შრიალი მოესმა. ეტყობა, თავგები დამკრებოდნენ, სოროდან სოროში ნადავლს მიაბრუნებდნენ, ალბათ აქ ვირთავებიც იყო.

ჭიამაიას წინ ლორწოვანმა, სველმა, ტიტლიკანა ლოკოკინამ გაიარა, ნელ-ნელა, ძალზე ზანტად მიცოცავდა, ნემსებივით გრძელ და წვეტიან რქებს ხან შეკუმშავდა, ხან გაშლიდა. გრძელ, ვერცხლისფერ ზოლს ტოვებდა.

- აი, ვისი გზა ყოფილა! - ამოიოხრა ჭიამაიამ, - უკან უნდა დავბრუნდე! მოტრიალდა. ისევ უკან გამოჰყვა ვერცხლისფერ ზოლს, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი ნელ-ნელა შავად დაიბურა, გზა აღარ ჩანდა.

- დამდება! - გაიფიქრა ჭიამაიამ.
უცებ კი სულ ჩამოხნულდა. ვიღაცამ სარდაფის კარი გამოკვტა. ჭიამაია პირმოტეხილ სურას შეაცოცდა, ყელთან მიეკრა და გაისუსა.

ღამურები ღამე კარგად ხედავენ. თავგებიც.
ჭიამაიას კი სცივა.
გაირბინეს წამებმა, წუთებმა, საათებმა...

- ყიყლიყო! - იყივლა მამალმა.
მეორედ იყივლა...
მერე მესამედ...
ცოტა ხანიც და უცებ კარის ღრიჭოდან სინათლის ზოლი შემოიჭრა, ოქროსფერი, ბრჭყვიალა, თბილი და იქაურობა გაანათა.

- მეშველა, მზე ამოვიდა! - შვებით ამოისუნთქა ჭიამაიამ, სურის ყელიდან ისკუპა და გაფრინდა.
გაჰყვა სინათლის ზოლს. შიშისაგან, სიცივისაგან, უძილობისაგან გამბრუნებული ყაყაჩოს დაეტკა. სიყვარულით გულში ჩაეკრა და გაინახა.

მარიამ ძამაშვილი. (მარიამულა)

ფიქრები

რა მშვენიერია ეს ქვეყანა თავისი ბუნებით, მხიარულებით და სიკეთით. რა კარგია ხალხთან ცხოვრება, ურთიერთობა. ...პატარა ვიყავი, როცა სოფლის ერთ-ერთ სახლში მიმიყვანეს. ვერაფერს ვხვდებოდი, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ვიღაც მოხუცი, თეთრწვერა კაცი მივლიდა. ის მოხუცი ძალიან ჭკვიანი და საყვარელი იყო, მაგრამ ვერ გამეგო, რა მინდოდა მასთან, რაში ვჭირდებოდი. წესით, მე დედასთან უნდა ვიყო, - ვფიქრობდი, - მაგრამ სად არის დედა? ნუთუ მიმატოვა? რა მინდა ამ ბერიკაცთან, პატარა ვარ და დედასთან მირჩენია.

გადიოდა დღეები... თანდათან მივხვდი, რომ რაღაცაში გამცვალეს და მიმაბარეს ამ კეთილ მოხუცს. ნეტავ, რატომ ჩაიღინეს ასე? ნუთუ რამე დავაშავე? არ ვიცი... არ მახსოვს... იქნებ დავაშავე კიდეც...

რა კარგია ადამიანობა! ადამიანი ხომ თავისუფალია! ჩემსავით კი არ არის ჯაჭვით ერთ ადგილას დაბმული. ნეტავ, მეც ადამიანი ვიყო, აღარ მომიწევდა დილიდან საღამომდე ყეფა და ღრენა.

დროდადრო მოხუცის შვილები და შვილიშვილები ჩამოდიან და მეც ვმხიარულდები, რადგან ბავშვები მეფერებიან, მართობენ და მაჭმევენ. მოხუცს სამი შვილიშვილი ჰყავს. ძალიან უყვარს. სამწუხაროდ, ბავშვები ერთი-ორი დღით ჩამოდიან ხოლმე. ვერ ვხვდები, ასე ძალიან რატომ უხარიათ აქ მოსვლა. ხანდახან მოხუცი ცუდად ხდება ხოლმე და შვილებიც მამინვე მოაკითხავენ დასაწყნარებლად და სამკურნალოდ. შემდეგ მიდიან და ვრჩებით ისევ მარტოდმარტო - მე და მოხუცი.

ზაფხულში შვილები და შვილიშვილები დაგვიანებით ჩამოვიდნენ. გავიხარე! სულ თვალეზში შევცივინებდი. თან ვბტოდი, მიხაროდა მათი მოსვლა. მიხაროდა და თან როგორ! სიხარულისგან ლამის ლოპეს გადავახტი. ისინიც მეფერებოდნენ: ცუგა, ცუგაო, - მემახდნენ, მაგრამ სულ ერთ კვირაში წავიდნენ.

ზაფხულის შემდეგ რაღაც უცნაური დღეები დადგა. სულ ცივა, ქარია და წვიმს, მე კი ერთი წლისაც არა ვარ. კიბიდან ჩამოდის მოხუცი, მოდის და მეალერსება: ხომ არ შეგცივდაო? - თვითონაც ახველებს და სცივა. „მოდი ჩემთან“, - მეუბნება და ჩემი ხელში აყვანა უნდა. ამიყვანა კიდეც და სახლში შემიყვანა. ვერ წარმოიდგენთ, იქ როგორი სითბო იყო! დამსვა მოხუცმა ღუმელთან და თვითონ ტახტზე წამოწვა. მე ფეხებთან მივუცუცქდი და მივეალერსე, ისიც თავისი დაჭმუჭმული ხელებით ნაზად მომეფერა. ღმერთო! ასე კარგად არასდროს მიგრძენია თავი. ღმერთო! რა ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში!

გავიდა დრო... და ერთ დღესაც, რომ გამომეღვიძა, ჩემს ცხვირწინ რაღაც ფაფუკი, თეთრი რამ დავინახე. ეს თოვლი ყოფილა. ყეფა დავიწყე, რადგან მციოდა, თან ვბტუნავდი. ძირს, თოვლზე, ვამჩნევდი ჩემი ფეხის ნაკვალევს. მოხუცი გამოსვლას იგვიანებდა, მე კი ეს ამბავი არ მომწონდა. ვფიქრობდი: - იქნებ სძინავს? არ ესმის? იქნებ, ცუდად არის? ამიტომ

ვუმატე ყეფას. ყეფდი და ყეფდი! იქნებ ვინმეს გაეგონა, მაგრამ ამაოდ. კვიდეკ ერთხელ ვინატრე ადამიანობა. ადამიანი რომ ვიყო, ხომ დავუმახებდი ვინმეს, ავიდოდი და მოხუცს მოვუვლიდი. უკვე მთელი სხეულით ვგრძნობდი, რომ მოხუცი ნამდვილად ცუდად იყო და მე ვერაფრით ვშველოდი!

მოხდა სასწაული! ეტყობა, ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება და შვილები და შვილიშვილები ჩამოვიდნენ. ნახეს ცუდად მყოფი პაპა და თქვეს:

- გაციებულა! ალბათ, ეს ყველაფერი სიბერის ბრალია, აუცილებლად უნდა წავიყვანოთ საავადმყოფოში.

მივუწევი მოხუცს და ცრემლი მომივიდა. მოხუცი მაწყნარებდა, კარგად ვიქნებო. წავიყვანეს საავადმყოფოში და მეც გავყევი. მართალია, პალატაში არ შემიშვეს, მაგრამ კართან ავიტუხე და ველოდი. მოხუცის შვილები შედიოდნენ და გამოდიოდნენ. სახეზე ვატყობდი, რომ კარგად ვერ იყო საქმე. ბოლოს გამოვიდნენ ტირილით. ნუთუ მოკვდა? არა! ეს არ მოხდებოდა! ამას ვერ დავიჯერებ! აკი, თვითონ დამპირდა, კარგად ვიქნებო, მას კი არასდროს მოვუტყუებდით, ღმერთო!.. ჩემი პატრონი აღარ არის და მეც ავტირდი. გულის სიღრმეში რაღაც მეწვოდა, ერთიანად ვცახცახებდი და ვგრძნობდი, ჩემი ტირილი ნელ-ნელა როგორ გადადიოდა უცნაურ ყმუილში; ვგრძნობდი, რომ დაერჩი მარტო. რა ვქნა, როგორ გავძლო მის გარეშე?

ახლა ვარ სოფელში, ისევ იმ სახლში. ვწევარ მოხუცის საწოლთან. ვწევარ და ვიხსენებ ტკბილ წარსულს. მე სულ ამ ფიქრებში ვარ და ვერ ვიციწყებ ჩემს მოხუცს. ვერ ვტოვებ მის სახლ-კარს. რა ვქნა, ასეთია ჩემი ბედი... ასე მგონია, ისევ გამოჩნდება კეთილი ბერიკაცი, თავზე ხელს გადამისვამს, მომიფერება და მეც კულის ქიცინით მივეალერსები ჩემს პატრონს.

გიორგი წილოსანი

დაუჯერებელი ამბავი

დიდი სივრცეების გაყოლებაზე, ერთ დიდ სივრცეში დაკიდულიყო პლანეტა, დიდი სივრცეებისთვის - პატარა, ზოგი არსებისთვის კი - დიდი. ეს ყველაზე ჩუმი და მუნჯი ბურთი იყო - მძინარე პლანეტა, თუმცა, მასზე ყველას ედგოდა, ერთი პატარა კაცუნას გარდა, რომელიც თავის პატარა ქოხში, სადაც ცეცხლი მუდამ ათბობდა კედლებს, კუნძუზე მჯდარი, ყოველ ხუთ საუკუნეში ერთხელ გამოიღვიძებდა და ყველაფერს, რაც პლანეტაზე მოძველებულიყო და გაფუჭებულიყო, ჩამოუვლიდა და პირვანდელ სახეს უბრუნებდა. რა თქმა უნდა, ეს პატარა კაცუნასთვის დიდი პასუხიმგებლობა იყო, მაგრამ მაინც, როგორღაც უმკლავდებოდა, თუმცა, ნაკლი ის ჰქონდა, რომ ლაპარაკი არ შეეძლო. პლანეტის სახელიც, ალბათ, აქედან გამომდინარეობდა, თუმცა, სახელს მას ვერავინ დაარქმევდა, რადგან აქ ყველა გულში, ყველა თავის ენაზე ლაპარაკობდა.

ხუთი საუკუნე ჩაიწვა. პატარა კაცუნამ თვალები გაახილა და კუნძუდან წამოხტა, ისე, თითქოს ორი წუთით წაიძინა და რაღაცამ გამოაღვიძო. მის ფეხებთან ღორი იწვა. იმანაც თავი წამოჰყო. ღორი ერთადერთი არსება იყო პლანეტაზე. ვისაც ლაპარაკი შეეძლო და თანაც ისე, რომ ყველა არსებას გაეგო. კაცუნამ დაავლო ღორს ხელი, გააღო ხავსიანი, დამჭკნარი ხის კარი, გავიდა გარეთ და კარი უკან მოიკეტა. შეეხო თუ არა კარი კედელს, ბუხარში მაშინვე ცეცხლი ჩაქრა და მქლე კუნძივ უცებ ნაფოტებად დაიშალა. პატარა კაცუნა შევიდა თვალაში და იქიდან თავისი მოხუცი, სამფეხა ვირი გამოიყვანა. შეჯდა, ღორიც წინ დაისვა და მთებისკენ გაეშურა, სადაც ერთი მოხუცი, საუკუნეების კაცი ელოდა. ერთ უკარო და უფანჯრო ქოხში ცხოვრობდა. ხელში სანთელი ეჭირა, რომელიც ათბობდა და ხელეზე ეღვენებოდა. კაცი მთელი ტანით ნაღვენთში იჯდა. სანთელი სულ დამოკლებულიყო, ქრებოდა. კაცუნას უნდა მოესწრო და სანთელი გაემთელებინა, თორემ, თუ ჩაიწვებოდა, მთის სიცივე კაცს გაათოშავდა. ის კი კაცუნას ერთ დიდ ამბავს უყვებოდა ყოველ ხუთ საუკუნეში ერთი სიტყვით და როდესაც თბრობას დაამთავრებდა, კაცუნა ენას ამოიდგამდა და აღარ დაიძინებდა.

იმ დღეს პლანეტაზე ყველა ერთ ენაზე დაიწყებს ლაპარაკს და მისი სახელიც რაიმე სხვით შეიცვლება. დადგება ეგ დღეც.

იგორ მახარამე

ხაპის გარაჟი

(დაუჯერებელი ამბავი)

ფურტიოელ გოდერძი მიქელამეს კახელმა ხაპის თესლი მისცა, ძალიან დიდი იზრდებოდა და აჭარაში გასინჯეო.

გოდერძიმ განსაკუთრებულად მოამზადა ნიადაგი და ჩათესა უცნაური ხაპის თესლი. საღამოს რომ დარგო, დილას ნახა, რომ ხაპი ამოსულა, ფოთლები დაუსხამს და ყვავის, მაგრამ მხოლოდ ერთი ყვავილი გაშლილა. მეორე დღეს ნახა, რომ პატარა ხაპი გამოუბამს და იწყო ხაპმა დიდი სისწრაფით ზრდა. ერთხელ გოდერძიმ ღობეშემოვლებულ ყანაში, სადაც ეს ხაპი ჰქონდა დარგული, ხბო შეაგდო. ხბო გაქრა. გარეთ ვერ გაპვრებოდა. მთელი დღე ეძებეს ხბო და ვერ ნახეს. დილას ადგა გოდერძი და რას ნახავს?! - ხბო ისევ ბოსტანშია. გაუკვირდა, სად გაათია ღამე ხბომ, რომ არსად ჩანდაო. თურმე ხბომ ეს ხაპი გვერდიდან გამოხრა და შეეგრა შიგ. გაათია ღამე, როცა გათენდა, გამოვიდა გარეთ.

ხაპი სწრაფად იზრდებოდა და ეს გამოჭრილი კარიც იზრდებოდა. მალე ხაპი იმოღენა გახდა, რომ შიგ მანქანაც დაეტეოდა.

გოდერძის „მოსკვიჩის“ მარკის მანქანა ჰყავდა; მოსკვიჩი შეიყვანა ხაპის გარაჟში და გააჩერა.

გადიოდა დრო. კარგი გარაჟი გამოდგა. წვიმა არ ჩადიოდა, გრილოდა შიგნით, გოდერძიმ გარაჟში წყალი შეიყვანა. იქ რეცხავდა მანქანას, მის ნაწილებს. წყალი გარეთ რკინის მილით გადიოდა. ეს მილი უცებ დაიკოჭრა მრგვალი ბურთულებით. ეს ბურთულები დღითი დღე იზრდებოდა და ხაპებს ემსგავსებოდა. ერთმანეთს მიეზღინა და ჰყვებოდა დაიწყო. გოდერძი ფიქრობდა, ეს ხაპები აქ ვეღარ დაეტევია და უნდოდა მოეცილებინა აქედან. მოაცილა კიდეც და ყანაში მწკრივში ჩააწყო. ხაპები ძალიან სწრაფად იზრდებოდა. გოდერძიმ თქვა: ეს ყველა ცალ-ცალკე გარაჟად გამოდგება, მაგრამ ვის უნდა სოფელში ამდენი ავტოფარეხო; მოიყვანა ამწე, დიდი სატვირთო მანქანები და ხაპები ქალაქის განაპირას, ერთ ტრიალ მინდორში გადაზიდა. ის ვერ იანგარიშა, რამდენ ხანში დაასრულებდა ხაპი ზრდას და რა სიმორეზე უნდა განეღაგებინა. ამიტომ ბევრჯერ მოუნდა ამწეების საშუალებით ხაპების მიწვე-მოწევა იქით-აქეთ. მალე ხაპები კედლებით მიედო ერთმანეთს და ზრდა შეაჩერა. გოდერძიმ სასწრაფოდ დაიბარა თავისიანები, გააკეთა რემონტი და გააქირავა გარაჟები. ამ გარაჟების ნახვით სახელმწიფო სამსახურის მუშაკებიც გაკვირვებულნი დარჩნენ და არავითარ გადასახადს არ სთხოვდნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ შესატანად.

გამდიდრდა გოდერძი, ძალიან გამდიდრდა, თავისიანები ურჩევდნენ: პრივატიზაციის პროცესია, ყველაფერი იყიდება, შენც შეგიძლია ობიექტები შეიძინო ჩვენი ქალაქისაო, გოდერძის ეს არ უნდოდა, მას ძალიან აწუხებდა ის, რომ თავისი თანასოფლელები ღარიბულად ცხოვრობდნენ, წელში წყდებოდა შრომით და არაფერი გააჩნიათო, ამ ფულით მე მათ კარგ ოდასახლებს დავუღვაძო, - ფიქრობდა.

გაკეთა გეგმა, ნახაზები, კარგად დაამუშავა და სოფლისაკენ გამოემურა.

დაიწყეს შენება. სოფელი ნელ-ნელა გაიზარდა, იქცა ქალაქად. უყურებდა გოდერძი და ფიქრობდა: ნეტა იცოდა იმ კახელმა, რომ მისი ხაპის თესლი ქალაქად გადაიქცეოდა?

ანა დაბრუნდაშვილი

ამარკორდი, ანუ მე მახსენდება

მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი. ერთი ბიჭი მიყვარდა. გურამი ერქვა. მამა ავარიში დაეღუპა. ძმაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, თუმცა სულ არ ეტყობოდა. კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ცოტა სულელი. იმასაც მოეწონდი. ერთხელ ეზოში ვიყავით, მომიახლოვდა და მთელი სერიოზულობით მკითხა:

- ცოლად გამომყვები?
- კი, - ვუპასუხე მე, მაგრამ, რომ დავფიქრდი, - ჯერ არა-მეთქი, - დავამატე.
- აბა როდის?
- თვრამეტი წლის რომ გავხდები, მომაკითხე. ხომ იცი, სადაც ვცხოვრობ. ოღონდ მანაქანით იყავი.
- კი, აუცილებლად.
- მე მეჯვარე ვიქნები, - თქვა ერთმა კლასელმა.
- მე - მეორე მეჯვარე.
- მე - ბავშვის ნათლია.
- ბავშვს რა დავარქვავ? - ისე მკითხა, თითქოს რვა თვის ფეხმძიმე ვიყავი.
- ლუკა! - ვთქვი მე და მუცელზე დავიხედე.
- არა, ვახო.
- რა ვახო, ლუკა.
- გოგო რომ იყოს?
- ელენე.
- კარგი.
- რა ფერის კაბა გეცმება?
- თეთრი, რა თქმა უნდა. ხომ მიყიდი?
- აბა, არ გიყიდი?! მე ამ ჯინსებით რომ მოვიდე, შეიძლება?- თქვა და თავის ლურჯ, ჩაჩაჩულ ჯინსებზე დაიხედა.
- გაგიყიდი? ქორწილში კოსტიუმით უნდა მოხვიდე.
- მიყიდი?
- სულელი ხომ არა ხარ? შენ თვითონ უნდა იყიდიო.
- ყველაფერი მე უნდა ვიყიდიო?
- ჰო.
- რატომ?
- იმიტომ, რომ კაცი შენ ხარ.
- კაცი არ ვარ, ბავშვი ვარ.
- ცოლად რომ მომიყვან, უკვე კაცი იქნები.
- მართლა?
- ჰო.

გაუხარდა. ორი თვე ბუფეტში არაფერს ჰამდა, ფულს აგროვებდა. მერე მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ისე წავიდა, არც კი დამემშვიდობა.

ნოდია მანანა

ქუსლი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კერპი ახსნილია, როგორც წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თავყვანს სცემდნენ. გადატანითი მნიშვნელობით კი – ვინმესთვის სათაყვანებელი პიროვნება.

ქრისტეშობამდე (და ზოგან მის შემდეგაც) კერპი იქმნებოდა ადამიანის ხელით ხისგან, ქვისგან, რკინისგან. გარდა ამისა თავყვანს სცემდნენ ცეცხლს, მთვარეს, მზეს...

დღესდღეობით კი კერპმა მეტისმეტად მრავალფეროვანი სახე მიიღო: ვისთვის საყვარელი ფეხბურთელის დამონძილი „ბუცია“ თავყვანსაცემი და მოსაფერებელი, ვისთვის ცნობილი მომღერლის მოკბეჩილი „ჰამბურგერი“... მკითხველი შეიძლება შემომდეგავს: – მოკბეჩილი ჰამბურგერი კი არა, მომღერალია გაკულტებული და ალბათ მეც დავეთანხმები, მაგრამ იქვე აღვნიშნავ – როცა ზემოთხსენებული დასაწყობებული საშუალება საწერი მაგიდის თვალშისაცემ ადგილზეა მოთავსებული, რბილ, ფუმფულა ბალიშზე და მისი შენახვისთვის გარკვეული პროცედურებიც სრულდება, მომღერალი უკვე მეორეხარისხოვანი ხდება და ერთი მდაბალი გრძნობა (ადამიანის გაღმერთება) იცვლება უარესით, რაც საბოლოოდ კატასტროფით მთავრდება.

აი ერთი, საკმაოდ ასაკოვანი მამაკაცი, სერიოზული და პატივსაცემი ნათესავ-მეგობრებში, უკვე ჰალარა შერეული, ქართული დამახასიათებელი ღიპით, ცოლ-შვილის პატრონი, ორი ბინისა და აგარაკის მფლობელი, ჭირში გვერდზე მდგომი და ლხინში შეუცვლელი (მეგობრების დახასიათება), უკვე ბაზუცა... მაგრამ თითქმის არავისთვისაა ცნობილი მისი უცნაური გატაცება – ლუდის ბოთლის თავსახურების შეგროვება და ჩვენი პატივსაცემი პერსონაც დიდი რულუნებით აქუჩებს ნაყიდი თუ ნაპოვნი ბოთლის თავსახურებს.

– ეს ხომ მხოლოდ ჰობია! – კვლავ შემედავება მკითხველი და მე ახლაც დავეთანხმები, ოღონდ მცირედ შეუსწორებ: – კერპად ქცეული ჰობია...

მეორე ბევრად ახალგაზრდაა, ისიც მამრობითი სქესის, ქერა, გატაცებული ფეხბურთით და მეგობრების მტკიცებით, მომავალი “ფორვარდი”. მისი კერპი – რონალდინიო და რის ვაი-ვაგაზხით, წამებითა და ტანჯვით, უძილო დამეგობის ფასად ნაშოვნი კუმირის ნახმარი მაისური, რომელიც საწოლ ოთახში კედელზე აქვს გაკრული და ამ „ღირსშესანიშნაობის“ სახანავად ხშირად დაიარებიან ქერა ფანატთან ნაცნობი თუ უცნობი პიროვნებები...

თუნდაც ეს შეგვერემანი „თინეიჯერი“, თავისივერი თვალებითა და წითელი, პუნტულა ტურებით, კოხტა ტანადობის, კვლავ მარობითი სქესისა. მისი კერპი – ერთ-ერთი პოპულარული მომღერალი ქალბატონი.

ამ სიმპათიურმა თავყვანისმცემელმა თავისი უსაზღვრო სიყვარულის დასამტკიცებლად მოახერხა კუმირის სახლში აივნადან გადამრომა. თავის და ბედად კი აასწრო ხეზე საიდანაც გამოვარდნილ ბულოდოგს-, მაგრამ მისი გულის მოსაფხანად საკუთარი შარვლის დატოვება მაინც მოუწია და ასე, ტრუსიანი დაადგა თავზე სადღაც წასასვლელად გამოპრანჭულ მომღერალს, რის შემდეგაც გაბმული წივილის მიუხედავად მოახერხა მუხლებზე დავარდნა და საკუთარი თავის სამუდამო მონად შეთავაზება.

გასაკები ენით ახსნილი მიზეზი ოთახში შეჭრისა, “თინეიჯერის” გასაკვირად უარყოფილ იქნა, ის კი არა, კინაღამ ციხეშიც მიამბრძანეს, მის ფულიან მამიკოს, რომ არ ემარჯვა და საქმე არ მიეჭმალა. „ფანატით“ კი იმწამსვე დაინტერესდნენ წამყვანი ჟურნალ-გაზეთები და ერთი-ორჯერ მათ გარეკანზეც მოხვდა გაბადრული “როჟით“, რის შემდეგაც ლამის მასვე გადახდა თავს მსგავსი ინციდენტი, ოღონდ ახლა სხვისი კუმირი თავად ბრძანდებოდა...

ათ მცნებაში კი, რომლის დაცვაც ყველა ქრისტიანისათვის აუცილებელია, გარკვევით წერია შავით-თეთრზე: 'არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქვეყანასა. არა თაყუანის-სცე, არცა მსახურებდე მათ-.

გიორგი ორახელაშვილი

შატალო

ალაგ-ალაგ შელღობოდა თოვლი მთებს. გზით ჩაჭრილი ფერდობი. პატარ-პატარა, წვრილად დატეხილი და თითქოს ქარის მიმოხეული წითელი აგურის კენჭები. კიბე. კუსტიბიდან ვაკისპარკამდე. მზე ანათებდა და პატარა ბატიბუტებს ათბობდა. თეთრებს და რბილებს. ფეხით მოსეირნობ ცოტას. მერე აჩერებ "მარშუტკას" და ჯაყჯაყში გემინება. ჯაყჯაყშივე გეღვიძება. გაცდი. სიონთან ჩამოდიხარ და შიგნით შედიხარ. ალაგ-ალაგ დგანან ადამიანები. ღმერთიანები. ჩანთიანს რომ გხედავენ უკვირო. მერე თავს მიადებენ ხატს და ლოცულობენ. დილის, შემოგაზაფხულების ჰაერი ქვეშიდან ილიტინება. საკმეველი ქანაობს თანაბრად, ირიბად, შევულად და მერე კვამლში გახვეული ჩერდება. მესანთლე ითვლის სანთლებს. ხანდახან დაყნოსავს ესამოვნება და უჯრამი ჩაალაგებს. პატარა ქალაქია, უფლის ქალაქია, უფლის სახლია. ახალშემობაჯბაჯბულებული მსუქანი კაცი მიუახლოვდება ხატს. დაიხრება და დიდ სანთელს წაუკიდებს ალს, უფლისას, საკურთხეველისას. გაახსენდება რომ ქუდი ახურავს და სიცივისგან შეწუხებული მოიხდის. მერე ვედარ აიტანს. სანთელს ჩაარჭობს. ქუდს დაიხურავს და გაბრუნდება. გაყვები. ემთხვევი ალაყავს და ლამის გაგიტანს მერსედესი. იქიდან მსუქანი კაცი გადმოიხედავს. უნდა შეგაგინოს. გაახსენდება რომ ეკლესიაში გნახა და თავს შეყოფს. შენ კი გაუყვები სანაპიროს ორთაქალისკენ. იმის ფიქრში თუ რატომ არ გუგუნებენ ხმამაღლა მტრედები ეკლესიაში. რატომ სხედან მხოლოდ სარკმელზე და საკურთხეველის მარმარილოს თაღზე. დიდი თოლია გაგაფანტვინებს ფიქრებს. გახედავ და დაინახავ მტკვარს. მდორეს და ტლანქს, აშავდროს მოქნილს. გადაადგებ ჯიბეში ნაპოვნ ბატიბუტს. თოლიები არც კი გაეკარებიან. მერე გააყოლებ თვალს იქამდე სანამ ეს პატარა დიდში არ ჩალობება და შეერწყმება. მერე მიხვდები რომ თოლიებს არ სცალიათ შენთვის და ისევ მტრედებს გააბედნიერებ. ცარიელ პარკს გახეთქავ და გამზარ ჭადარს მიუთათუნებ ტანზე ხელს. აბანოთუბანს აუყვები. მოკირწყლოული ქუჩა, ლამაზი სკამები. ხალიჩები წელიწადს მოპარული ფერებისგან. დიდი ალაყავ-ჭიშკარი. ბოტანიკური ბაღი დაკეტილია. უსიტყვოდ გამობრუნდება. გზაში იფიქრებ იმაზე თუ რა ნახე. სახლში კი დედა დაგხვდება ხატებთან. როცა შეხვალ მოიბრუნებს, უნდა რომ ჩაგეხუტოს. გაჩერდება.

- სად იყავი?

- იქით. დაიბნევი და თავს დახრი.

- სად იქით, ხომ გითხარი არ წახვიდე მეთქი. შატალოზე იმდენი უბედურება ხდება.

შეხვალ ოთახში. შემოგყვება. შემთხვევების მოყოლისგან ცრემლი ადგება. მერე ჩაეხუტები.

- იცი, ეკლესიაში ვიყავი. ეტყვი და გაგახსენდება მტრედი დედასავით.

- აღარ მანერვიულო.

გაიღიმებს ტირილით.

გიორგი ბიჩინაშვილი

თვითმკვლელობა

როცა მძაკაცი შეყვარებულ გოგოს უყვარხარ. როცა, გაზაფხულის პირველი შემოსვლასავით, შენც ჩაგედვრება გულში ჯერ არ განცდილი სითბო და შეგიყვარდება, როცა თავს დატეხილ გრძნობას ვედარ გაუძლებ და მასთან ერთად გაიპარები. როცა შურისძიების გრძნობით შეპყრობილი და გულზებოლმა შემოწოლილი შენი მძაკაცი აიღებს იარაღს და მჭიდში მხოლოდ ერთ ტყვიას ჩადებს. იმ ტყვიას, რომელიც შენ აჩუქე თქვენი მძაკაცობის სიმბოლოდ და რომელიც თქვენი სახელება წაწერილი. როცა დიდი ხნის ძებნის შემდეგ მაინც მოგაგნებთ. როცა გოგოს შემხედვარეს კვლავ გაუცხოველდება სიყვარული და თავისდაუნებურად გულზე შემოწოლილი ბოლმის ძაფები დაეფლითება. როცა იარაღის მჭიდს დაუწყებს წვალებას: ხან მოხსნას და ხან გაკეთებას. როცა მხოლოდ და მხოლოდ ერთ კითხვას გისვამ: რატომ? და თქვენ ვერ პასუხობთ, როცა სახესთან გაგისწორდება, როცა იარაღს ჰაერში აიშვერს და ნელ-ნელა დაიწყებს დამშვებას. როცა დროს იხელთებ, ხელს აუკრავ და წამის წინ ჯიბიდან ამოღებულ დანას ნეკნებს შორის გაუყინავ. როცა ჩაიკეცება, იატაკს გაეკვრება. როცა ცალი ხელიდან იარაღი გაუვარდება, მეორედან კი სახელებწაწერილი ტყვია ჩაბოლავდება. როცა გოგოს კვილი აყრუებს სახლს. როცა ნახულობ მჭიდს და ცარიელია. როცა ყველაფერი ძალიან უბრალო ხდება. როცა ჰაერი ფანტასტიურ სიმსუბუქეს იძენს. როცა დახედავ მძაკაცს და მის დაწმენდილ და ყოველნაირად გამარჯვებულ სახეზე ირონიულ ღიმილს წააწყდები... მაშინ დატენი იარაღს, საფეთქელზე მიიბჯენ და ტვინში ჩაიჯენ თქვენი მძაკაცობის სიმბოლოს.

გიორგი დიასამიძე

სასაცილო ისტორია

იყო და არა იყო რა...

მაინც ზღაპრის დასაწყისივით გამოივიდა, არა და ახლა რაზედაც უნდა მოგიტხროთ, ნამდვილად იყო. სხვებისთვის აგერ ახლა ყოფილა, ჩემთვის კი - ძალიან დიდი ხნის წინათ, ჩემს დაბადებამდე. კინაღამ თოთხმეტი წლის ვარ. განა ცოტაა თოთხმეტი წელი?! ვის შესახებაც უნდა მოგიტხროთ, ისინი ახლა ოთხმოცი წლის არიან. აუუ, რა მაგრები გახლავთ ჩემი ბებია და ბაბუა. ოთხმოცი წელი ხუმრობა არ გეგონათ. ანდენი თუ იცოცხლებს, აწი რაღა მოკლავთ. ღმერთმა ას ოთხმოცი წლის მოყარონ. აი მაშინ ნახეთ, რამდენი მექნება სათქმელი. ას, რასაც მათზე ახლა ვწერ, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც თავს გადახტენიათ. ეს ამბავი უფრო ბაბუას გადახდა. სულაც არ უნდოდა მაგის სახალხოდ გამოკენება, მაგრამ ბებოს პირს ხომ ვერ აუკრავდა. ჩემი ბებო იუმორისა და თხრობის უზადო ნიჭით არის დაჯილდოვებული. იცოცხლე, იმან საუბარი იცის! მასთან არასდროს მოიწყენ. სწორედ მისი წყალობით არა ერთხელ ჩავარდა ბაბუ სოფლის ყბაში. ბებრი საგანგებოდ მოდის ჩვენს ოჯახში მართლა წიგნად დასაწერი ამბების მოსასმენად. აჰყვება ბებო და იცინიან მსმენელები, რომ იტყვიან ჩვენში, ისე მუცლის ქერქები ასკდებათ. ბაბუც სიამოვნებით, თვალებიდან ცრემლის დაღვრამდე იცინის.

განა სასაცილო ბაბუ მყავს?! წურას უკაცრავად! ახლა თავს შევიკავებ და ტრამბას არ დავიწყებ. ამას შეიძლება უცნობიც წაიკითხავს და ამაოდ დაუწყებს ჩემი მთავარი პერსონაჟის პორტრეტის ძებნას: მთასავით მაღალიაო და ბეჭანაიერიო, ტანდაბალია და ჩაფსკენილ-ჩაკუნთულიო, შუათანაა ტანით და მოსხლეტილიო. ეს თვითონ წამკითხველმა წარმოიდგინოს, მე კი ერთს მაინც ვიტყვოდი: ბაბუ მხდელი და შმიშარა არასდროს ყოფილა. ძალიან გულადი და ღონიერი.

სასადილოყელის იალაღებზე მიმავალს დათვი შემოჰყვია. ბაბუასთან ჭიდაობა რომ მოუსურვებია, შემოულია კისრულით ჩვენი ტყეების ხელმწიფე და ძირს მაგრად დაუხეთქებია. ფეხზე ძლივს შემომდგარ დათვს ბაბუასთვის უთქვამს, ამიერიდან შენ ხარ ჩემი ბაბუც და ამ ტყეების ხელმწიფეცო და წასულა. ერთხელაც ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებმაც შეჰბედეს იმ დათვისებურად. თუ შნო გაქვთ თითი გამომიწიეთო, და ჭიდაობაზე მერე ვილაპარაკოთო, - გაუშვირა ბაბუც კავივით მოხრილი საჩვენებელი თითი ახალგაზრდებს. დაფრთხნენ ახალგაზრდები, ეგ თითია თუ მუხის ჯირკვზე გამოსული ფსვიო. მიხვდნენ ბიჭები, ბაბუც მიერ დაკვერცხებული იმ დათვის ხვედრი არ ასკდებათ.

დათვთან, მგელსა და გარეულ ტახთან გულმაგარ ბაბუსთვის შიშის გრძობაც უცხო არ ყოფილა. არ გჯერათ?... კარგი, თუ არ გჯერათ, მალე დაიჯერებთ. ამაში რომ დარწმუნდეთ, ბაბუს და ბებოს უნდა გაეცეთ სატურიკლდეში. სატურიკლდე რადგან ვახსენე, ალბათ, იფიქრეთ, დათვზე გამარჯვებულ ბაბუს ტურებმა დამართეს ელეთმელეთი. არამც და არამც! ისე, ეჭვის საფუძველი კი გაქვთ, მაგრამ აქ, უბრალოდ, დამთხვევაა. სატურიკლდეში გადახდა მას გადასახდენი. შუაგული შემოდგომაა. ფოთლებს წითელ-ყვითელი ფერები მოსძალებია. თყებს აქ-იქ თითქოს ხანძრები გასჩენია. ღომას მთაზე ბლომად დაუთოვია, მაგრამ მაინც თბილა. კაკლების ბერტყვა გაჩაღებული.

სატურიკლდეში კაკლები გვედგა. ოქტომბრის ერთ მშვენიერ დილით ბებო და ბაბუ გაუდგნენ გზას სატურიკლდისაკენ. არ დაგაეწყდეთ, ხომ მოვილაპარაკეთ, რომ შევიდოდით?! მოდიხართ? აბა ჩქარა! თქვენ ძალიან ბევრი ხართ. ნიგვზით პირის ჩატკმარუნება მოგიხდებათ, მაგრამ ეგ ჩვენს ბედელს დიდად არ აზარალებს. კაკლები თავზე საყარია. დაჰკარ ჭოკი და “ჩხრ, ჩხრ!” წამოვა თასხმასავით. რამდენიც გინდათ, მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ.

თუ მიმყავხართ, იმიტომაც, რომ ეჭვი არ შეგეპართო ცრუობს ეგ ცინგლიანი ბიჭიც და მისი და მისი ბებიაცო. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნახული სჯობიაო, ხომ იცით. ისე, ძალას არავის ვატანთ. ახლა ოჯახში საქმე აუარებელია, ვინც მენდობა, შეუძლია არ შემოვიდეს, აი ურწმუნო თომებმა კი სჯობია თავი შეიწუხონ. რაო, მაინც ყველანი მოდიხართ? კარგი, კარგი.

მაშ, ასე: ერთი! ორი! სამი!!! მივიდივართ სატურიკლდისაკენ. არ გეგონოთ ცოტა გზა გვაქვს გასავლელი. ცხრა მთისა და ზღვისა გადალახვა არ მოგვიწევს. ერთი-ორი მდინარე, რამდენიმე ხიდი და უღრანი ტყე უნდა გავიაროთ. გზა სიარულმა დალიაო, ნათქვამია.

მიდის ბაბუა გოდორმოკიდებული და მხარზე გზასავით გრძელ ჭოკადებული. მიდის ბაბუ და თავისი ლანდი მიჰყვება. ბაბუს ლანდი ბებოსაზე ერთნახევარჯერ დიდია. მიდიან ბეჯითად ბებო და ბაბუ – ნეფე – და დედოფალი, ტკბილად ჭუჭუკუკუნენ. მათი ლაპარაკი ლანდებს ესმით. ნეფე და დედოფალი შემთხვევით გვერდზე თავს რომ მიაბრუნებენ აშკარად ეტყობა მიწაზე, ლანდებიც პირს აღებენ. ასე მეჩვენება, თითქოს ისინი ლაპარაკობდნენ, ხოლო ბებო და ბაბუ მათ უხმო საუბარს ახმოვანებენ.

ფართო, ხალვათი გზა დაილია და ახლა საცალფეხო ბილიკს უნდა გაუყვეთ. ქვემოთ ქარაფებია და გიჟმაჟი აკავრეთა.

- საიმეფ, - ამბობს ბაბუ, - აქ შენ წინ იარე, ფეხი რომ დაგიცდეს, მოგეშველები.

- მერდიალ შენ წადი წინ, მე დაქცავ!

- შენ ხეზე დამცავე.

საიმეფ აღარ უძალიანდება.

ბაბუ და ბებოს რა უშავთ. აქაურობა გაზეპირებული აქვთ, ჩვენ ვიჩვივით. ფეხი თუ გადაგიცდა, შავ ზღვაში უნდა მოგმბნოს კაცმა. ფრთხილად, ბიჭებო! შეხედეთ ნეფე - დედოფალს, რა ყოჩაღად მიდიან, ვითომ მოსაფალტებულ გზაზე მიაბიჯებდნენ. სირცხვილი ჩვენი თუ ჩამოვრჩით!

ბილიკმა თავი უღრან ტყეში შერგო. ხშირფოთლიანი უზარმაზარი წიფლის ხეები შუასაუკუნეების შეჯავშნული რაინდებივით დგანან. ფოთლები მიწისკენ სინათლის წვეთსაც არ უშვებს. ჩვენი ლანდები აღარ მოგვედევნენ. წინ წასული ბებო და ბაბუ ლანდებივით ჩანან. მივიდივართ და მივიდივართ. უცებ ერთმა დაწინაურებულმა იყვირა: სინათლე! თითქოს ბნელი გვირახიდან გამოვიდოდა და დამთავრდა ოდისეაგ. პირდაპირ სატურიკლდეში ამოვყავით თავი. დაქანცვლები იქვე მივეყარებით.

- ფეხი არ დაგიცდეს, ჭო, ფრთხილად იყავი – გვემის საიმეფ – ბებოს ხმა. მერდიალ – ბაბუ უკვე ხეზე ასულა. თითქოს კენწეროს მიწვდენილი მეორე ხისკენ ხიდივით გადებულ ტოტზე დგება, ხელებს შლის, ფრთებად რომ ექცეს, ნამდვილ არწივს დაემსგავსება.

- საიმეფ, გოგ, გადმოვხტე?

- ვუი, ვუი!!! ტოტს მაგრად მოკიდე ხელი, ნუ თამამობ ბაღანასავით! – ქოთქოთებს ბებია.

ბაბუს ხელში ჭოკმა, ხემ, ტოტმა, ნაყოფმა ენა ამოიდგა. “ჩხრი-ჩხრუ! ჩხრი-ჩხრუ!” “შრი-შრუ! შრი-შრუ!” “ჰეპ-ჰოპ! ჰეპ-ჰოპ!” – ისმის კაკლობის სიმღერასავით.

მალე მეორე ხის ჯერიც დადგა. ქალბატონი საიმეფ პირველი ხიდან ჩამობერტყილი კაკლის აკრეფას შეუდგა.

ბებომ კაკალი კრიფოს. ბაბუმ ბერტყოს, ჩვენ კი კარგად გავიხსენოთ აქით მომავლებს რა უთხრა აკავრეთას პირას მეზობლის ქალმა: სატურიკლდეში გუშინ მოვრეკეთ კაკალი და თქვენს ერთ ფულუროიან კაკალში უშველებელი ჭრელი გველი შეძვრაო წყაროსთან, გზის პირას რომ დგასო, შიშისგან ძლივს გამოვიარეო. მაგი არაფერიაო, - თქვა ბაბუმ.

ბაბუმ თორმეტი კაკალი მორეკა და მეცამეტეს შეუდგა. სწორედ იმას, ფულურთან.

- მერდიალ, გველიაო, ჭო, ხომ გახსოვს – აფრთხილებს საიმეფ დედოფალი თავის Nნეფეს.

- ამ კაკლების წარღვნაში გველს აქ რა გააჩერებს?! – ამბობს ნეფე და მეფურად მიაბიჯებს არც თუ ისე ჩვენს გემოზე საფეხურებდა აწყობილ ტოტებზე. “ჰეპ, ჰოპ! ჰეპ, ჰოპ! შრი, შრუ! ჩხრი-ჩხრუ!” – კაკლობის სიმღერასავით.

- საიმეფ, გოგ, ჭოკი უნდა გადმოვადგო და თავზე არ დაგიცდეს, _ იძახის მერდიალი, _ საქმელი მოაზხადე ჩქარა, შიმშილით სული ძლივს მიდგას.

დალილია, აუჩქარებლად, ხოხვით მოიწევეს – ფულუროს გაუსწორდა თუ არა, სწრაფად, ბიჭივით ჩამოცურდა, ორივე ფეხით მიწაზე მყარად მდგომი შემოტრიალდა და უეცრად იღრიალა:

- ვოი, საიმეფ, გველი, მიშველე, გველი!

თვალეში გადმოკარკოლდა. სახე საშინლად დაბრეცოდა, წარბები შუბლზე გველებივით ეკლავნებოდა. შარვალზე ხელებს იფართხუნებდა, თავადაც უხსენებელივით იკლავნებოდა, ადგილიდან კი ვერ იძროდა.

- მიშველე, ქალო, მიშველე!

- რომ მოკვდე, ვერ მოვალ, გაიქეცი, გაიქეცი! – თქვა ბებომ და ხათრისათვის ორიოდ ნაბიჯი ძლივს წადგა ქმრისაკენ. იქედან თავისუფლად შეეძლო გველის დანახვა.

- გეჩვენება, კაცო, გველი, სად არის მაქ! რა გაბღავლებს?!

- აქ არის, აქ! ბაბუ შარვალზე უჩვენებს. – მიშველე! მიშველე!

შარვალში რაღაც ელვის სისწრაფით დაქოდა, და ბაბუს გულს უხეთქავდა.

- ჩეიდრე, შარვალი, ჩეიდრე, მერდიალ – ასწავლის ბებო, - შეიხსენ ქამარი, შეიხსენ!

ეტყობა ბაბუს ჭკუაში დაუჯდა ბებოს რჩევა. ძლივსძლივით შეიხსნა ქამარი და იმწამსვე შარვიდან ჩახდისას ჯიშთან კაკალზე კარგა მოზრდილმა ცოცხალმა არსებამ ისკუბა მიწაზე და სწრაფად გაუჩინარდა.

- თავგი, მერდიალ, თავგი! – სიხარულისაგან ტაში დასცხო ბებომ. ბაბუს კი უცებ გული წაუვიდა და შარვალჩახდელი მიწაზე გაიშხლართა. ბებომ წყაროს წყალი ასხურა და მოასულიერა.

თქვენ რას აკეთებდითო, გვისაყვედურებენ, არც კაკალი აკრეფინეთ, არც განსაცდელში ჩავარდნილებს მიეშველეთო, თქვენ ასეთებო და ისეთებო.

ამაზე ასე გიპასუხებდით: გადამეტებული ლიტერატურული სიცრუე მაწყენარა თაფლივითაა. მოვეშვით ამ იწილბიწილო საქმის გარჩევას. ყველას ოჯახში გეპატყებიო. ამ ნაჯღანს სულაც ნუ წაიკითხავთ, ჩემს ბებოს მოუსმინეთ. თქვენთვის გაშლილი გლეხური სუფრიდან აიღეთ თქვენი წილი. გნებავთ ჭიქასაც თავი წაუქციეთ და იცინეთ და იცინეთ. შეგერგოთ!

გიორგი ელიზბარაშვილი

„ზახოდითე ვ კომნატუ“

- შალიკო! შენ სულ სხვა აზრები გქონდა შალიკო! – ისმის არხის გასწვრივ (ეს ალაზნის არხია). გამავალ გზაზე დადლილი მერთველები მაინც იცინიან, მხიარულობენ.

ეს ჩვენს ოჯახს შეგვიანდა რთველში და ეხლა შუალამეს მიტანებულზე შინ ვბრუნდებით. დადლილ დაქანულებს კი მეზობლიანთ ლენა გვართობს, რომელიც გოგოლა მამიდან წამოიყვანა დასახმარებლად.

- შენ სულ სხვა აზრები გქონდა შალიკო! – კვლავ გაჰკვივის ლენა მთელი ქვეყნის გასაგებად და ცეკვა-თამაშით მოჰყვება ჩვენი ცხენის ტაჩკას. მას დალა არ ეტყობა, თუ არ იმჩნევს, ვინ იცის, შეიძლება განგებაც იმხიარულებს თავს, ახალგაზრდობას, ყმაწვილ-ქალობას ემშვიდობება. იგი უკვე დანიშნულია. სულ ცოტაც დამ ას თათარი მამედა იორ-მულანლოში წამოიყვანს. სილატაკეში იზრდებოდნენ ლენა და მისი ძმა. მამამ პატარები მიატოვა და ვიღაც რუსის ქალს გამოუდგა სოხუმში. დედა კი, საცოდავი ქალი, სადღაც დამლაგებლად მუშაობდა და მისი ხელფასი სამ სულს როგორ გასწვდებოდა. ამიტომაც ვერ გაუძლო ცოტუნებას და დათანხმდა მამედას სიძეობას. თანაც მამედა მასწავლებელი კაცი იყო, მეცხვარე კი არა.

ჰოდა, ლენაც ეთხოვება თავის სიყმაწვილს, თავის სოფელს და გულის დარდს მხიარულებაში იკლავს. უკვე დასახლებას ვუახლოვდებით და მისი გაბმული კვიცილი – შალიკო, ისევ გაისმის.

ეს შალიკო ვიღაა, ვინ არის?

არავინაც არ არის; იყო და აღარ არის, მოკვდა. ჰოდა ამ შემახილით – შალიკო, შენ სულ სხვა აზრები გქონდაო, ლინა მის ცოლს ტირილში ზამავს, აჯავრებს.

შალიკოს ცოლი და ერთი გოგო დარჩა, მაკრინე და ინდიანა. რკინიგზის ზემოთ ცხოვრობენ, ჩვენს გასწვრივ, ხის ბოქვინტებზე შემდგარ, ორ ოთახიან ვილაში. ქვეშ კი ათასი სულიერი ბინადრობს.

- ჩვენ აზნაურის მოდემისა ვართ, ჩვენ სულ სხვა წრე გვაქვს! – ყოველ დღე ამაყად იმეორებს კრეკიამვილი მაკრინე და თავის უცხო სახელიან გოგოს ცივ ნიავს არ აკარებს. ინდიანაც მამიდაჩემისა და ლენას თანატოლია, არაფრით გამორჩეული; ერთად იზრდებოდნენ უბანში. რამდენი მთხოვნელი მიუვიდათ, მაკრინემ სულ ყველა უკან გააბრუნა. ზოგს მასხრადაც იგდებდა. ეს განსაკუთრებით ხევისუბნელ გრიშას ეხება. ინდიანაზე უიმედოდ შეყვარებულ გრიშას მაკრანე ტუჩს უბზუებს, მაგას ქალს როგორ მივცემ, სად ჩვენი წრე და სად მაგისი. ჩემი გოგო აზნაურის ჩამომავალია, ეგ კიდევ გლების შვილიაო.

არადა ეს აზნაურის ჩამომავლები, ნახევრად შმივრები არიან.

ჯერ კიდევ 50-იანი წლებია და ქვეყანას უჭირს, ძალიან უჭირს. იბტიბარს არ იტეხენ ეს შემოდგომის აზნაურები და მეზობლების ქილიკსა და ორაზროვან ჩაცინებას არ იმჩნევენ.

შალიკო სულ ახალი გარდაცვლილია. კოკობზიკა მაკრინე, ტირილშიც ვითომ რაღაც განსაკუთრებულის თქმას ცდილობდა და თავი მეზობლების დასაცინი გაიხადა. არა და, ეს სულ სხვა აზრების მქონე კაცი, სასურსათო ჯიხურში მუშაობდა და გაფლანგვაზე ორი წელიც “დასვენეს”. ახალ დაბრუნებული იყო სახლში, რომ ღამით გაწყვეტილ ელექტროსადენებში გაიხლართა და თქვენი ჭირიც წაიღო.

აი, სწორედ ამ შალიკოს გახსენებამია ეხლა ლენა ფირომვილი და ბომა ქალივით ხტუნვა-ხტუნვით უვლის გარს ტაჩკას. ის კი არა, თურმე შალიკო ციხეშიც ძლივს გადარჩენილა სიკვდილს. ხმები დადიოდა, პატარებმა სცემესო. თვითონ კი, მაკრინეს სწერდა, გავცივდი და ფილტვების ანთება დამემართა, მაგრამ ჩემს წასაყვანად მოსულ მიქელას უარი ვუთხარი ხობოროზე. დიახ! ჯერ არსად არ მოვდივარო.

- შალიკო! რატომ ერთხელ კიდევ არ უთხარი მიქელას ხობოროს, დიახო, შალიკო! - მოსთქვამს ლენა და უკვე დასახლებაში შემოსულებს, გაღვიძებული ძაღლები ყევით გვეგებებიან.

სოფიკო დაუშვილი

ბილიკი

დაბურულ ტყეში პატარა ბილიკი ცხოვრობდა. მართალია ბილიკი კეთილი იყო, მაგრამ აურამულიებული ქუჩების მაინც შურდა. ბილიკს უნდოდა მასზეც ეგრიალათ ლამაზ მანქანებს, ესეირნათ გამოპრანჭულ ადამიანებს. ის კი ნამიან ზალახზე იწვა და ხალხმრავალი ქუჩების ცხოვრებას ნატრობდა. ერთხელაც კაბის კალთა აიკეცა, დამრგვალდა და მინდორს გადაეგლო. აი, ვიღაც ქალს საყურე ჩამოსწყდა, მაგრამ სიჩქარეში ვერ შენიშნა. ქუჩადქვეულმა ბილიკმა ქალს საყურე დაუბრუნა. მანდილოსანს სიხარულისაგან სახე გაეზადრა და მადლობა მოახსენა. ფიქრებიდან სიმყრალის სუნმა გამოიყვანა. დიდ ქალაქში შეხეტებულ ბილიკზე სქელი ქალი შემდგარიყო და ნაგავს ყრიდა. ბილიკის გაპარვას ტყეში დიდი აურზაური მოჰყვა. გზა ყველას აებნა: კურდღელი დათვის ბუნავს მიადგა, ციყვი - თავის სოროს, გოჭი მგელს ეახლა.

საბრალო ბილიკს კი ქალაქში ხელი სტაცეს, ფართო ქუჩად აქციეს და ზედ ლიანდაგი დააგეს. ახდა ბილიკის ოცნება – მის ზურგზე უამრავი ხალხი დადიოდა, მანქანებიც დაქროდნენ და ხალისიანი წკრიალით ტრამვაიც მისრიალებდა.

ხანი გავიდა. ქუჩა ტრამვისა და მანქანების სიმძიმემ წელში გაღუნა, ტკივილისაგან იკლაკნებოდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ შემბრალებელი არავინ იყო. საწყალმა ასეთ ყოფას ვეღარ გაუძლო და ატირდა. იმდენი იტირა, იმდენი, რომ ქუჩაზე გაუვალი გუბები დადგა. ვეღარც მანქანები დადიოდნენ და ვეღარც ტრამვაი მისრიალებდა. მამინ მძიმე ლიანდაგები აჰყარეს და განთავისუფლებულმა ქუჩამ ტყისკენ მოკურცხლა, ნამიან ზალახზე კვლავ ბილიკად გაწვა, სუფთა ჰაერი სიამოვნებით ჩაისუნთქა და ირგვლივ შემოხვეულ მეგობრებს დარცხვენილი ღიმილით გადახედა.

ალექსანდრე ბაევი

თოლია

მოსლამოვდა. თეთრი თოლიების გუნდი თოვლივით მოეფინა ზღვის ნაპირს. ჯონათანს კი არ ეძინებოდა. როდესაც სხევებს ეძინათ, იგი იჯდა და ტალღების სიმფონიებს უსმენდა. ფიქრობდა იმაზე თუ რისთვის და რატომ არის აქ. ვისთვის უნდა ეკითხა ამის შესახებ?

- ეს უხუცესი თოლია იყო. “თეთრი რისხვა” მიფრინდა და დაუწყო ლაპარაკი. უხუცესმა გასცა პასუხი მის შეკითხვებს და გასაოცარი ფრენა ანახა. ჯონათანი გაოცდა. მისი გული ასე არასოდეს ფანცქალბდა. იგი მიხვდა ყველაფერს და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სრულყოფილებას.

“თეთრი რისხვა” ისევდასივ ვარჯიშობდა და ცდილობდა გაეგო, რა არის სრულყოფილი ფრენა. ვერც შენიშნა თუ როგორ გასცდა თავის მშობლიურ ქვეყანას. აუჩქარებლად მისრიალებდა ცის კამარაზე, როდესაც მის რადარებმა “воздух-воздух” ტიპის რაკეტები შენიშნა. მამინ მიხვდა, რომ ინგლისი შორს არის და რომ უკვე რუსეთშია. რუს მესაზღვრეებს ბომბდამშენი “ალბატროსს ტუ-193” ეგონათ და რაკეტებიც ამიტომ დაუშინეს. რაღა ექნა “თეთრი რისხვას”, იგი ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე ავიდა, მაგრამ რაკეტები ვერ მოიშორა. მამინ მან გადაწყვიტა განევითარებინა ელვისებური სისწრაფე; ფრთები მოკეცა და წულილით ჩაეშვა მიქისაკენ. მან 212 მილი საათში განავითარა და, როგორც ექნა, რაკეტებიც მოიშორა. სიჩქარეს რომ

მოუკლო, ხმა გაიგო: “შეჩერდი, არ გაინძრე!” იგი მოტრიალდა და ორი ყვავი დაინახა. აღმოჩნდა, რომ ისინი საქართველოს პოლიციელები იყვნენ. რაღა ექნა დამნაშავეს, შეჩერდა.

- ფრენის მოწმობა, თუ შეიძლება!

- აგერ, ინებეთ.

- იცით თუ არა, რომ თქვენ ინგლისში ხართ და აქ, საქართველოში, საათში 212 მილით ფრენა არ შეიძლება?!

- როგორ, უკვე საქართველოში ვარ?

- კი, და თან თქვენ საპირისპირო მხარეს მოძრაობდით

- აუფ! ინგლისში ვარ მიჩვეული!

- პასპორტში არც ვიზა გაქვთ, არც არაფერი, ანუ თქვენ უკანონოდ შემოიჭერთ ჩვენს საზღვარზე

- ცუდად მაქვს საქმე?

- კი, თუ შეიძლება ნარკოლოგიურში წამოგყვებით

ნარკოლოგიურში აღმოჩნდა, რომ ჯონათანს მარბიუნა ჰქონდა მოწეული.

- თქვენი ფრენის მოწმობა და პასპორტი ჩვენთან დარჩება ასევე, როგორც თქვენ.

სასამართლოზე “თეთრ რისხვას” სამი წელი მიუსაჯეს და ზონაზე გაუშვეს. ამ სამ წელიწადში მან სახელი გაითქვა და ციხიდან გამოსული “შავ რისხვად” გახდა ცნობილი.

“შავ რისხვას” აღარ უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, დარჩა საქართველოში და დააარსა საზოგადოება “სწრაფი ფრთები” იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თექვსმეტი წლის განმავლობაში. ეს წლები საქართველოსთვის აღორძინების ხანად გადაიქცა: ჩვენ ხუთჯერ სწრაფად ვისწავლეთ ფრენა, სხვადასხვა ილეთების შესრულება, კოსმოსშიც კი გავფრინდით სიცოცხლეს, როგორც დასაბამი, ასევე დასასრულიც აქვს. “შავი რისხვა” გარდაიცვალა. მისივე თხოვნით იგი ინგლისში, თავის მშობლიურ ქალაქ მანჩესტერში დაასაფლავეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა,

მთას ურემი ავავორე, ბარსა ჩამოგორებიტა.

აქ სიცოცხლით გამიძებით, საიქიოს-ცხოვნებითა.

მარიამ ნატროშვილი

თბილისის დროით ნიუ – იორკში

მე არსად არ გავცეცულვარ.

მე უბრალოდ წავედი.

აჭრელებული ხის კარი ნაცნობი ჭრიალით დამეშვიდობა. უკვე ზეპირად ვიცოდი მისი ეს გულისწამლება ხმა.

გულგრილად ჩავუარე ცარცის კედელზე ოდესღაც ამოფხაჭნილ საკუთარ სახელს.

გულგრილად შევედი ყვისფერ კარიან ლიფტში და ღილაკისთვის თითი არც მიმიჭერია, ისე დავეშვი დაბლა, მიწისკენ.

აჭრელებული ნაბიჯით გავიარე ავტოფარეხებით სავსე ეზო და წავედი.

არსად არ გავცეცულვარ.

უბრალოდ წავედი.

ბარგი არ მქონდა. მხოლოდ ერთი ხელჩანთა მეჭირა. მასში კედლის

საათი მედო. წითელი, მრგვალი სამზარეულოს კედლის საათი, რომელსაც გულდასმით დაეთვალა ჩემი ბავშვობის, ჩემი

ცხოვრების ყოველი წამი. ახლაც კეთილსინდისიერად ასრულებდა მოვალეობას და ვინ იცის უკვე მერამდენე წრე მოეხაზა

თავისი შავი, მომრგვალებული, მსხვილი ისრებით... ჩემს გულისცემასთან შერწყმული წიკწიკით მახსენებდა, რომ ჩემს

განუყოფელ ნაწილად ქვეულიყო.

12 საათი ოკეანის თავზე ვიფრინე.

ნელა მივფრინავდი.

ფიქრით მივფრინავდი.

ჩუმად მივფრინავდი.

ხმისამოუღებლად ვიჯექი დიდ “რკინის ჩიტში”.

12 საათში ოკეანე გადავიფრინე.

უხმოდ გადავლახე აბობოქრებული, უძირო წყალი. თვითმფრინავის ილუმინატორიდან ვხედავდი როგორ ღრიალებდა,

ბლაოდა, ცდილობდა ტალღებით მომწვდენოდა.

უკან მოვიტოვე, უკან – წარსულში.

აი, უკვე აქ ვიყავი, შორ ნიუ – იორკში. უზარმაზარში, ხმაურთანში, გადავსებულში.

გარეუბანში ბინა ვიქირავე, ერთი ოთახი უფროსწორედ. ერთი ოთახი ერთი საწოლით, ერთი მაგიდით, ერთი სკამით.

მონაცრისფრო, მოყავისფრო, მომწვანო ოთახი. კედელზე ჩემი საათი ჩამოვკიდე – მრგვალი, წითელი.

სამსახურს ხან სად ვპოულობდი, ხან სად. ჯერ მიმტანად ვიმუშავე რომელიღაც აჭრელებულ, გულსამრევ ფასტ ფოოდ – ში.

მერე ეგრეთწოდებულ ბეიბისითერად, გაზეთებსაც ვყიდი “საბევის” ჯიხურში.

ვუყურებდი ამერიკელების ღიმილიან, ცარიელ სახეებს. ვუყურებდი, მაგრამ ვერ ვხედავდი მათ. თბილისში ნაყიდ

ამერიკულ ჯინსებში “გახვეული” დავდიოდი ნიუ – იორკის ქუჩებში. ახლა უკვე აქ ვიყავი – ოცნებების, თავისუფლების

ქვეყანაში, ოკეანეს მიღმა. მეცინებოდა, რადგან ახლა ოცნებებისა და თავისუფლების ქვეყნად ჩემთვის შორეული, ჩაბნელებული

საქართველო ქვეულიყო...

ყოველ საღამოს, სამსახურის შემდეგ, ქანცაწყვეტილი ვბრუნდებოდი ჩემს ოთახში.

ჩემს წითელ საათს კი ერთი უცნაურობა დასჩემებოდა – მერამდენედ ვაყენებდი აქაურ დროზე, დილით კი მაინც თბილისის

დროს მიჩვევებოდა. მექანიზმი თითქოს უარყოფდა ნიუ – იორკს, აქაურ დროს და მისი ისრები თავისით მიქროდნენ

თბილისისაკენ, მისი დროისკენ.

სახლში დავბრუნდებოდი თუ არა, საათს ვასწორებდი მერე იაფფასიანი ვისკის ბოთლით ხელში სახურავზე ავდიოდი.

ვუყურებდი გაბრდღვიალებულ, გაჩახახებულ მანჭეტენს. მერე დიდხანს ვაკვირდებოდი აქაურ ცას და ვცდილობდი ის

შორეული ოცნება მეგონა მასში, ოცნება, რომელმაც აქამდე მომიყვანა. ვერ ვპოულობდი...

გარეუბნის ნაცრისფერი კორპუსები უფრო მახსენებდა თბილისს. შორს, ჭუჭყიანს, მაგრამ ჩემსას.

სასმელით გაბრუებული ოთახში ვბრუნდებოდი, ცარიელი ბოთლით ვსრესდი ფანჯრის რაფაზე მოკალათებულ

ტარაკანს და ვიძინებდი.

დასვენების დღეებში, ქუჩებში დავხეტებოდი უმიზნოდ. შავ, დიდ შარფში გახვეული, თითებში სიგარეტით, მივაპობდი

ხალხის ტალღას, უსასრულო, ერთფეროვანი სახეების მასას, მღვრიე ნიაღვარს. ღერს ღერზე ვეწეოდი, ერთ ადგილზე ვარ

ვისვენებდი, რაღაცას ვეძებდი, მაგრამ ამაოდ.

დღის ბოლოს ვისკის ბოთლითა და ერთი კოლოფი მალბოროთი დატვირთული სახურავზე მივცოცავდი და ვცდილობდი უშორესი საქართველოს ცა დამენახა.

მერე, ძილის წინ, ჯიუტად ვასწორებდი ჩემს წითელ საათს აქაურ დროზე და ვცდილობდი სიზმარში მაინც მომეკრა თვალი ჩემი ქვეყნისთვის.

ყოველ დილით მეტროსთან, ერთი დამონძილი, უსინათლო ბოძი მხვდებოდა და ამდენ ხალხში მაინცდამაინც მე მეკითხებოდა დროს. მეც, მოვალეობის მოხდის მიზნით გავხედავდი ხოლმე რომელიღაც ცათამბჯენზე მიმაგრებულ ელექტრონულ საათს და გულგრილად ვპასუხობდი – 8 საათია, იქ კი სადამოს ცხრა იქნება ალბათ... – ვამატებდი ჩემდაუნებურად.

დიდ ყურადღებას არც ვაქცევდი ამ ბრმა, უსახლკარო მოხუცს, უგზოუკვლოდ რომ დამრწოდა უზარმაზარი ქალაქის ახლართულ, ლაბირინთებოვით ქუჩებში, მაგრამ მისი ყოველი კითხვა “რომელი საათია?” რაღაცაზე მიმანიშნებდა, თვითონ ამ ბოძში რაღაც ნაცნობსა და ძალიან ახლობელს ვხედავდი. თუმცა ამაზე ფიქრის დრო მხოლოდ მატარებლის მოსვლამდე მქონდა. მერე ჭრელი რეკლამები ფიქრებს მირევდა, მიფანტავდა.

შესვენებისას ვსვამდი კოკა-კოლას, ვეწეოდი მალბოროს და ვფიქრობდი საქართველოზე.

და დრო გადიოდა...

გადიოდა ჩუმად, ხმის ამოუღებლად. მეც დღეში მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვამბობდი, ისიც ამერიკულად.

საათი კი ისევ არ მემორჩილებოდა. ყოველ დილით თბილისის დროს მაჩვენებდა, თითქოს რაღაცის შეხსენება უნდოდა ჩემთვის. როგორც იქნა დრო გამოვძებნე და საათი მესაათესთან წავიღე. მექანიზმი არ იყო დაზიანებული. ვერავინ ვერაფერი გაუგო. ბოლოს ერთ მოხუც მესაათესთან გამაგზავნეს, ის თუ გაუგებს რამეს, მაგ კაცს საათების ენა ესმისო.

ძლივს მივაგენი მის სახელოსნოს. საათი ვაჩვენე. მესაათემ საათი გახსნა, შეამოწმა, მეტრიანი, ნაოჭებ შორის ჩაკარგული თვალეზით ამომხედა და დამტვრეული, უცნაური ამერიკული - მე ამ საათს ვერაფერს ვუშველი, ამ საათის სული მექანიზმს არ ემორჩილებათ. – მითხრა. ხმა არ ამომიღია. მან კი მხოლოდ “წადიო” დაამატა, ისე რომ აღარც შემოუხედავს ჩემთვის. სადღაც შორს იყურებოდა, პლასტმასის, შუშის ცივ შენობებს მიღმა. უკან გამოვბრუნდი. სახლში სადამო ხანს მივედი. სახურავზე ავბობდი. ცას ჩავაშტერდი. ცა ცათამბჯენებს დამხოზოდა. ცა უღრუბლო იყო. ცა - ცარიელი.

მივხვდი, სახლში მინდოდა, ჩემს ნამდვილ სახლში. ოთახში ჩასულმა საათი აღარ გავასწორე. თბილისში თენდებოდა...

მეორე დღეს ბილეთი ავიღე. კედლიდან საათი ჩამოვხსენი და ჩანთაში ჩავდე.

ბარგი არ მქონდა. კარი მოვიხურე და აჩქარებით ჩავუყევი ჭუჭყიან კიბეებს. მეტროსთან ნაცნობი ხმა გავიგე - რომელი საათია? – ელოქტრონულ საათს ავხედე, ოთხს აჩვენებდა, თბილისში კი დამე იყო, დამის სამი საათი ალბათ.

- დამეა – მეთქი, სამი საათი. – ვუპასუხე და გავუღიმიე. მანაც გამიღიმა. მერე უკვე შორიდან გამოვხედე, იდგა და მიყურებდა.

- მშვიდობით! – დამიძახა ქართულად.

- მშვიდობით! – ვუპასუხე მეც.

მშვიდად ვიყავი, ისიც დამშვიდებულიყო, ოკეანეც აღარ ლელავდა.

მე არსად არ გავქცეულვარ.

მე უზრალოდ წავედი.

შინ მეჩქარებოდა!

თათა თოდუა

სიყვარულისფერი ამბავი, ალუბლისფერი ჩაი და აპრილის 13 სადამო

იცი რა გამახსენდა? ჩაი დამრჩა სამზარეულოში, გაზზე. იმედია ჯერ არ გადაბუგულა ყველაფერი. ჩაი ალბათ დიდი ხანია აორთქლდა.

არაუშავს. გგონია, მედარდება? თუ რამე გამიფუჭდა დედიკო უცებ გამომიგზავნის ახალს, თანაც ყველაზე კარგს რაც იქ მოიპოვება და თანაც იაპონიიდან. ხო მაგარია? ხშირად ემარიაჟობ ხოლმე იაპონიით და იაპონური ნივთებით. მე ხომ ძაან მარიაჟი გოგო ვარ.

ესეც ასე. ძლივს გამოვძვერი საწოლიდან და ოცნებებიდან.

ულამაზესი ქალია დედაჩემი. თვალეზყვავილა.

მერე რა... ბოლოს რომ ვნახე იაპონური სათამაშო მაჩუქა. იცი რა ჰქვია? იუკიკო. მე შემოკლებით იუკის ვეძახი. იუკი არის რაღაც ციყვისმაგვარი არსება. და ისიც ლამაზია. თან ათასნაირი პროგრამა აქვს. მღერის, ცეკვავს და ა.შ მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს და იუკის არც ვამღერებ და არც ვალაპარაკებ.

დედაჩემს ვგავარ ცოტა.

მერე რა...

ხომ ვთქვი! არ გადაბუგულა. ცოტა კი გადატყავალუმინდა მაგრამ ეგ არაფერი.

ეხლა წავედი, ჩავცმევდები. მერე ალბათ სალი მოვა. ვეჭვდები სალიზე. ის ჩემი უახლოესი მეგობარია და საერთოდ, ძაან კარგი გოგოა. მერე ერთად დავლევთ ჩაის ან მარტო მე დავლევ და მერე მოვიფიქრებთ რა ვქნათ. მაგარია ძაან, დღეს, ხვალ დ ზუგ ვისვენებ. არდადაგები მაქ. უნივერსიტეტში ფეხს არ მივადგამ და ის გამოშტერებულიც ვერ ამედევნება უკან. დაისვენოს ცოტა ხანი.

შიეძლება ზეგ მაინც წავიდე. მართლა არდადაგები კი არ მაქვს. მინდა და არ მივიღივარ. დედაჩემს ჰგონია ასე. ვითომ მამოწმებს ხოლმე და ასე ვუთხარი, მეზარებოდა მაგასთან კამათი.

სალოო! ზარს რეკს.

დედაჩემს ჰყავს პატარა შვილი თავო და აქვს სამსახური. ქმარიც ჰყავს და ცოტა შორს ცხოვრობს. სად ცალია ჩემთვის. კიდევ, მყავს უამრავი ნათესავი. და ვარ მაგარი სვეციკი. ვცხოვრობ VAKE-ში ანუ ვეიქ-ში, 40დარაღაც ნომერში. სადარბაზო არის ვააბზე (ასე ვამბობ ჟამიდან ჟამზე~) მტვერამწმენდი დაცემა, გათიშვა და ჩათიშვა: სადარბაზოს კარზე არის ზარი, ჩამოფხრეწილი პლაკატები და მცხოვრებლების სია.

სადარბაზო არის უარესად დაფხრეწილი. გგონია რაღაც ბანში და ვდრუგ მაგარ ბინაში ხვდები. სადარბაზო ვის დაკარგვია.

მოვიღივარ სალი. შემო, გავაღე.

სალი კარგი გოგოა.

ნეტა დედამ გაიღვიძა? რომელი საათია იქ? აღარ მახსოვს და საერთოდ, რაში მაინტერესებს.

ჩემს მაგიდაზე მუდამ დგას ჩაი ან გაზზე დუღს. არადა, გგონია, მიყვარს? რამდენიმე ყლოპს დავლევ და ვსიო. ან შიეძლება ოთახიდან ოთახში ვიარო ჩაის ჭიქით ხელში, თან ვსვა, თუნდაც სულ არ მინდოდეს. რაღაც ისეთ განწყობას მიქმნის. . მათობს და გგონია თითქოს მეორე ოთახში ვინმე ძვირფასი მელაღებდა. . თან იაპონიას და დედაჩემს მაგონებს. საერთოდ, ჩაი ჩინეთში უყვართ, მაგრამ მე იაპონიას მაგონებს და რა ვქნა. ნეტა რად მინდა ამხელა სახლი?

იაპონიას მაინც მირჩვენია, ასი წელი და იმის იქითაც...

ზაზა ჩემი ვითომმიყვარებულა. არ მიყვარს, მაგარი მკიდი და ვაფშე, ყველაფერი მკიდი

კაი, არ ვიცი რამ გამაბრაზა. მართლა კი არაა ასე.

მიყვარს, ისე რა. ზედაპირულად. მე ბევრი არავინ მიყვარს. დედა, მამა, იუკი, მიკი _ ჩემი უმვირფასესი და უმშვენიერესი კატუნკა, სალი, პატარა ბავშვები და კიდევ დანარჩენები ისე რა. რატო უნდა მიყვარდეს ბევრი? ვდრუგ და გული მატკინონ?
*არასოდეს დაგავიწყდები და სევდა დაიძინებს შენს თვალებში. შულამისას გაგეღვიძება და ღამის სიჩუმეში გაგახსენდები ჩემი ხმაურით, ჩემი სიცილი გაგახსენდება და თავს არ დაგანებებს, ცხარე ცრემლები დასერავენ დარდით ჩალურჯებულ თვალებს. .

* და ა.შ

იქვე იდო ტელეფონი. დედას დავურეკე ათიათასობით კილომეტრს გაღმა

- დედა, დეე! - თან ვდრიალებ, ვტირი.

- რა მოხდა, თათი? - საშინლად შემფოთდა

- დე, მიყვარს ზაზა!

დავინახე როგორ აუბრწყვიალდა ნამი თვალბეჭავილებში.

- უხდებით ერთმანეთს! - ისეთი ხმით თქვა, როგორც ამბობენ ხოლმე დედები, გოგონა როცა უთხოვდებთ და მათ სახლს ტოვებს _ ჩუმად, სიყვარულით და დედური მონატრებით სავსემ.

შუბედე! ზაზუქას სურათი უნახავს ჩუმად. მე და ზაზა რომ ვუცინით ერთმანეთს ის სურათი. მეშინოდა, მეშინოდა მეჩვენებინა.

რატომ, არ ვიცი. არც გავაცანი. მაინც უპოვია სურათი საწოლის ქვეშ. გაღვიძებისთანავე ხელით მოვებნიდი ცივ იტაკზე და დავხედავდი ხოლმე. ახლაც..

- მართლა, დე?

არავის არა აქვს დედაჩემისმსგავსი ღიმილი, ულამაზესი ღიმილი აქვს მთელ ქვეყანაზე და თუნდაც ვაჭარბებდე, მერე რა. მაინც ასეა.

უცებ დავმშვიდდი. ძალიან ძალიან. დიდიც არაფერი ათასობით კილომეტრი. ვუხდებით ერთმანეთს, ხო, დე... რა კარგია!

სალის ძინავს ჩემს საწოლში.

მშვიდად.

მე ზაზაზე ვვიქრობ. გული გულდა საგულეში. მეშინია. თავი დამანებეთ. სიყვარულის მეშინია. გაიგე? მეშინია არ წავიდეს ისე, როგორც მამამ და დედამ მიმატოვეს. ამას პირველად ვამბობ ხმამაღლა. ხო! მიმატოვეს. 7 წლის წინ მამას მია შეუყვარდა და ოჯახი დატოვა. პირობა დადო, რომ არასოდეს გამიბრაზდება და ხელს არაფერში შემომლის, რომ ჩემი მეგობარი იქნება, ოღონდ მე უნდა გავიგო რომ სხვანირად არ შეეძლო მოქცევა. მეც გავიგე. მერე დედამ გაიცნო ის იაპონელი. წავიდა! იაპონიაში! ვევიცეობოდი, ოღონდ შენ გაიხარე და მე არამიშავს-თქო. თავისუფლება მივეცი. მაგრამ სადღაც, გულის სირღმეში მეგონა არ წავიდოდა. არ გადავედი მამასთან საცხოვრებლად, ვერ ვიტანდი მის! დეიდაჩემი დატოვეს ჩემთან, ის კი მალევე გათხოვდა.

მერე ყველა მიეჩვია იმ აზრს, რომ შეიძლება მე მარტო ვიცხოვრო.

სამაგიეროდ წინიზე ვგოყდები და ზაზუკაზე. პატარა ზაზუკაზე. იგი რა ბავშვია? გარეკავ. აბა-ა! დედისერთა კი ვარ, მამისერთა – არა. სადღაც მიკვირს კიდევ, როგორ დამტოვეს მარტო საცხოვრებლად? სჯერათ ჩემი და რა ქნან.

დედა რაც წავიდა მას მერე არავისთვის არ მითქვამს 'მიყვარხარ' - არვისთვის და საერთოდ, ძალიან ცივი გავხდი. მარტო ჩემ პატარებს ვეფერები.

გარეთ მაგარი სვეცი ვარ, მაგარი ზმანი დავდივარ და მან ვსვეტობ. ვიცი VAKE-ური ანუ ვეიქური გამოთქმების მთელი ბარდაგი და კიდევ ჟარგონები. ჟარგონები ირაკლიმ მასწავლა, რაც მართალი მართალია. ირაკლი ჩემი მეგობარია და ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ვუბნები ხოლმე რომ მომენტატრა. თვითონ არაფერს მსგავსს არ მეუბნება, მაგრამ ეს მე არ მალეუვებს. რატომღაც არ მეშინია რომ გულს მატკენს და უანგაროდ მიყვარს ცოტათი. ჩემთვის ეგეც ბევრია. თან სტიქაროსანია და საერთოდ, კარგი ბიჭია.

ჟარგონები ადრე მასწავლა. ახლა ცოტა გადაეჩვია, მე არა.

მგონი ზაზას ვუყვარვარ. დე, არ მოგწყინდა მაგ დეგენერატობაში?

- თათო, მშია - სალი აზზე მოდის.

- გამეცა ვირო, ნუ შედრიჯები. (ავიდე რომელიღაც წიგნი რომელიღაცა თაროდან და რომელიღაც გვერდზე ბოლოდან მეორე წინადადება წავიკითხე. ილიას წიგნი აღმოჩნდა)

მოკვდა სიცილით.

სალი კარგად უძლებს ჩემს უცნაურობებს. მე ვარ ჩიტი, მიყვარს ფრენა და ბევრი ლაპარაკი ანუ ხმამაღლა ფიქრი. ვარ ჩიტბარტყი და იქ დავფრინავ სადაც მომეპრიანება. ვპრიანიკი ვარ.

ჩემი დაბადების დღე რომ იყო, მაშინ შემომეჭრა ზაზუქა ოთახში და მაკოცა. შემეშინდა. მან. მისი კი არა. ჩემი სისუსტის. . .

გავიქეცი ოთახიდან.

მე მაქვს ცისფერმწვანე თვალები, ვარ ზუსტად იმ სიმაღლის რამდენიც საჭიროა და არ ვარ ჩხინკა. არც პუტკუნა! ო, არა!

გამხდარი ვარ. თუშეცა, ერთ დროს არ ვიყავი. ვივარჯიშე და გავხდი. აბსოლიტურად ყველა მიტკიცებდა ეს არ გიშველისო.

მჯეროდა და ახლა სკეპტიკოსებს დავცინი.

ქეთათოც მოვიდა. ქეთათო ჩემი დაქალია და ეგეც მიყვარს. ქეთათო არის ყველაზე მშვიდი და უცნაური ადამიანი მთელ მსოფლიოში. ერთხელ, ჩემთან იყო ღამე დარჩენილი. ეზოში ვიდაც მთვრალეები მღეროდნენ მთელი ღამე. რომ გითხრა მან კარგად მეთქი, ალბათ არ დამიჯერებ. არცაა დასაჯერებელი.

ჰოდა, სანამ პოლიციას თუ ვიდაც მასეთს არ გამოუძახეს, მთელი კორპუსი ფეხზე დადგა, გაგიჟდებოდი პირდაპირ, ისე ბლაოდნენ. ამას კი ისე მშვიდად ეძინა, ღამის შემშურდა. იგი რა ვქენი? ცენტრი ჩავრთე მაღალ ხმაზე. ქეთამ ერთი გამომხედა და ჩაიბუტყუნა – გაგიჟდი? გადამბრუნდა მეორე გვერდზე და ისევ დაიძინა. მე კი ნონა დეიდამ დამირეკა და ძალიან ზრდილობიანდ მკითხა იგივე.

მინდა გავთხოვდე. მეყოლება ბევრი შვილი და ერთგული ქმარი. რას იტყვი, გავყვე ზაზუქას? მაგას ჰგონია, ცოტა მომწონს და ვსიო. არ იცის რომ მიყვარს. არც დედამ და მამამ იციან რომ მე მიყვარს ისინი. არც ქეთათომ, არც სალიმ. არც გიო-გიომ _ ჩემი ძმაცა. გაიცანით. აი, ირაკლიმ იცის, მაგრამ ამას მაგარი ვინმეა. მშვიდად უყურებს.

სალი ცრემლობს, მაგის შეყვარებულს დედა დაედუშა ბანალურ ავარიში. რა ცუდია! და ტირის სალი ღვარღვარით.

იგი რას ვვიქრობ? _ ვინმე რომ კვდება და ხალხი რომ ტირის ხოლმე:

ადამიანები ყოველთვის უბრუნდებიან ცას და მიწას. ყველაფერს მოერივნენ დროისა და სიკვდილის გარდა. და ყველა ადამიანი ამ ქვეყანაზე აუცილებლად. აუცილებლად მოკვდება. უბრალოდ, ჩვენ ველარ ვნახავთ თორემ... (დანარჩენს ყველა თვითონ, თავისებურად ამთავრებს.) და თითოეულ მათგანს დაიტვირთს უამრავი ხალხი, თუ ვინმე მან უარავინო არაა. ადამიანები კი მუდამ იბადებიან და კვდებიან. ანუ მუდამ უნდა ვიტვიროთ ხოლმე და რა სისულელეა!

რას მეუბნები? მეკითხები რომ - რა, არ უნდა ვიტვიროთ ხოლმე?! ეგ არ ვიცი. პროსტო, სიკვდილი არ გაგიკვირდეს არასოდეს და მშვიდად იყავი.

ტელეფონი რეკავს.

- როგორა ხარ თუთა - მეუბნება მამაჩემი.

და ა.შ

ჩემს ორივე ბებიას თამარი ერქვა. ხო მაგარია?

ზაზას ვერ დავშორდები. დაე, წავიდეს იტალიაში. ვერ ვიტან საზღვარგარეთს. საყვარელ ადამიანებს მართმევს. დაველოდები. 2,

3, ან 6 თვე. სანამ ჩამოვა. რომ დავშორდე მომენატრება და მოვკვდები სიყვარულით. ცრემლებს დავუმეგობრდები და აღარ გავიღიმებ რომ მისი ღიმილი არ გამახსენდეს. თუმცა, როგორ გავიღიმებ თუ მოვკვდი.

სისულელეს ვამბობ, არ მომისმინო. არ დაიჯერო რომ სიყვარული სევდიანია თუ დამთავრდა. სიყვარული მაგარი რამეა და იცოდე, ნამდვილი სიყვარული არ მთავრდება არასოდეს. და თუ `იმას~ დამორდი, ეი. ის `ის~ არ ყოფილა იმიტომ, რომ არ შეიძლება ის `ის~ იყოს და ვერ გიცნოს რომ შენ ხარ.

რა ვქნა, მჯერა ამის. და მინდა რომ მთელ დედამიწაზე ყველამ დაიჯეროს ეს. ამქვეყნად. ყველაზე მეტად, სიყვარულისგან ნატკენ გულებს ვერ ვიტან, იცოდე...

დედამ დამირეკა. მგონი იმ იაპონელს ეჩხუბა. იქნებ... გული კარგს მიგრძნობს.

ნიკას სიგეფმდე, მართლა არანორმალურად უყვარს სალი. მერე რა, სალი სხვას მიყვება. ნიკა მოდის და მთელი დღე მისი სახლის წინ დგას. `მინდა უბრალოდ გნახო, მეტი არაფერი.~

ზარია. ვინაა?

ზაზა! რა მოხდა, რატომ ტირი?

ზაზა ჩამეხუტა და მითხრა, რომ ეს სისულელეა. ნეტა რა?

ვიცოდი, რომ სამუდამოდ აპირებდა იქ წასვლას.

ვიცოდი, ვიცოდი, ვიცოდი. ძალიან, ძალიან ვიცოდი რომ არ წავიდოდა. ალბათ ამის თქმა უნდა?

როცა ხარ, თანაც კარგად და თანაც ბედნიერობ, და თანაც გული საგულეში ხარობს, და თანაც...

ბანალურია, ძალიან ბანალური

მაგრამ იცი რა? ყველაფერი ბანალური იმიტომ არის ბანალური, რომ ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტება კი არ ცვდება, მას ხშირად იმეორებენ და ხანდახან ბეზრდებთ. მაგრამ ჭეშმარიტებას ვერსად გაექცევი.

ძალიან მაგარია სიყვარული.

და ცხელი, გემრიელი ჩაი.

ცა წვიმს. და იცინის. მზე მზეობს წვიმის იქით. და გულში.

რომელი საათია ნეტა?..

ხანდახან არს ჟამი ნგრევისა, მაგრამ ეს მხოლოდ ხანდახან. და კარგია რომ ხანდახან და არა ყოვლთვის.

წავედი, ზაზუჩა მელოდება.

აპრილის 13 საღამო რა შუაშია?

ვინ გითხრა, რომ შუაშია....

უბრალოდ, ძალიან მიყვარს გაზაფხულისფერი ალუბალი და აპრილის ჩუმი, ტკბილი, ხმაურით სავსე და გონდამკარგავი საღამოები.

მე მქვია თათა.

თინათინ თოფურია

ქალი-ბელურა

ერთხელ დედას ვკითხე: ეს პატარა ბელურები რომ დაიზრდებიან

და ერთ ბუდეში ვეღარ იცხოვრებენ, რა უნდა ქნან მეთქი.

ყველამ თავისი გზა უნდა იპოვოსო - მითხრა.

კორპუსში ცხოვრობდნენ: ვანო, სერგო, გოგი, ფილო და თუ ბოლო სართულიდან დაიწვევებთ: ფილო, გოგი, სერგო, ვანო. იყვნენ ერთად სუყველანი: G ზაფხულში, გაზაფხულში, შემოდგომაზე ზამთარში. ერთად ეზოში, ერთად სკოლაში, ცალცალკე ბინებში. ადგებოდა დილით ფილო ჩანთას ჩაალაგებდა, მხარზე მოიკიდებდა, ჩავიდოდა გოგისთან. გოგიც ადგებოდა, ჩანთას ჩაალაგებდა, მხარზე მოიკიდებდა, ჩავიდოდნენ სერგოსთან. იქიდან ვანოსთან, იქიდან ქუჩაში, იქიდან სკოლაში, ისხდნენ სკოლაში. პატარები სანამ იყვნენ მერხებზე წერდნენ: ფილო, გოგო, სერგო, ვანო. როცა გაიზარდნენ ასე აღარ წერდნენ, მაგრამ ისედაც იგულისხმებოდა. ერთხელ ვანო თვითმფრინავში ჩაჯდა და ამერიკაში გაფრინდა. აეროპორტში, მთელი ნაცნობობა შეკრებილიყო. იქვე იდგნენ: ფილო, გოგი, სერგო. ერთხელ სერგო ქუჩაზე გადადიოდა და მანქანამ დაარტყა. საავადმყოფოში ბოლომდე ხალხი მოგროვილიყო, თავს იქნევდნენ დამწუხრებულნი. იქვე იდგნენ ფილო და გოგი. ერთხელ გოგიმ ცოლი მოიყვანა და ტაშვანდური გაემართა ღვინოდალეულ ხალხს. იქვე იდგა: ფილო. ერთხელ იჯდა ფილო მატარებელში და ფიქრობდა თუ რა მოეხერხებინა თავისი ცხოვრებისათვის, რომელშიც აღარ იქნებოდნენ: ვანო, სერგო, გოგი. მატარებელში იჯდა ფილო. ფილო, რომელიც უკვე თვითონ შედგებოდა: ფილოსგან, ვანოსგან, სერგოსგან და გოგისგან.

სათქმელად ადვილია, გასაფიქრებლად კი თითქმის წარმოუდგენელი, თუ როგორ შეიძლება ფილო შემსდგარიყო ერთიანად ვანოსგანაც, სერგოსგანაც და გოგისგანაც. სამივე ეს სახელი, ხომ ბევრ სხვა და სხვა ამბავს იტყვდა და უამრავ გულზე მომდნარ საიდუმლოს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ოთხივე გმირი პატარა იყო და ღამე ოთახში დარჩენილებს ძალიან აშინებდათ ავეჯიდან

ჩამომჯდარი ჩრდილი. ვანომ ასეთი საუბარი გაიგონა:

- მერაბ, მერე რამდენი ხნით მიფრინავს ამერიკაში გოჩა?

- არ ვიცი აბა რა გითხრა...

ამის გამგონე ვანოს მოკრძალებული იდეა გაუჩნდა თავში, რომელიც მერე გადიდა, გათამამდა და ერთხელაც სურვილად იქცა. ვანო, რომ წამოიზარდა ფულის გროვებაც დაიწყო. სულ ცოტაც და ამერიკაში გაფრინდებოდა და ვანო ამერიკაში გაფრინდა. აეროპორტში, მთელი ნაცნობობა შეკრებილიყო. იქვე იდგნენ: ფილო, გოგი, სერგო.

ვანო რა თქმა უნდა ისეთი არ იყო, როგორც სხვები და საერთოდ განსხვავებული იყო. აქეთ-იქით დახეტიალობდა, ხშირად ღამეებს ღია ცის ქვეშ ათევდა. ხშირად სიზმრებსაც ხედავდა. ერთხელ ვანოს გამოეღვიძა. ვანო უფლისწული იყო. მისი თვალები, მხოლოდ ოქროს ირეკლავდა. კარები გაიღო და უამრავი მოახლე შემოვიდა, ლოგინზევე გაუშალეს პურმარილი. ვანომ ხელში აიღო ყველაზე გემრიელი, რაც თვალს ენახა და პირისკენ გააქანა. თუმცა, ეს სიამოვნება არ დასცალდა ვანოს, ვანოს გამოეღვიძა. გამოეღვიძა და აღმოაჩინა, რომ მფრინავ ხალიჩაზე იჯდა და საერთოდ ალაღინი იყო, რომელიც ჯასმინთან შესახვედრად მიფრინავდა სასახლისკენ. იქ მას დიდი პურმარილით დახვდებოდნენ და ვანოს იმედი ჰქონდა, რომ ახლა მანაც არ ეძინა, მაგრამ უცბად გამოეღვიძა. გამოეღვიძა და აღმოაჩინა, რომ იყო ჯადოქარი. ვანოს დიდი ჯოხი ქონდა და ჰაერში, რომ აიქნევდა ყველაფერი ის ჩნდებოდა, რაც უდოდა. ვანომ პირველ რიგში უგემრიელესი კერძები გააჩინა და იმედი ჰქონდა, რომ ახმა მაიც არ ეძინა, მაგრამ უცბად გაეღვიძა. გაეღვიძა და აღმოაჩინა რომ იწვა რომელიღაც დაქცეულ ეზოში, ნაჭრებში გახვეული და საშინლად შიოდა. ვანოს იმედი ჰქონდა, რომ ახლა ეძინა, მაგრამ ვანოს აღარ გამოეღვიძებია. აბა როგორ იარსებებდა შიმშილი ვანოს გარეშე და ამიტომ ვანო ბედნიერი იყო, რომ დაიბადა ამ ქვეყნის ზურგზე. უცხო ქვეყანაში რა თქმა უნდა ძნელი იყო ... შინ ყოფნა ...

წყლის დაღვევა თუ მოუნდებოდა, აბა სად დამევედ ავანო, ვანო ხომ ძალიან შორს იყო შინიდან.

წვიმა, რომ წამოვიდოდა სადმე თავის შეფარება მოუნდებოდა. აბა სად შეაფარებდა ვანო, ხომ შინიდან ძალიან შორს იყო, მაგრამ არ ეშინოდა ვანოს. ვანომ იცოდა, რომ ჰქონდა სახლი და შინ მიმავალი გზაც იცოდა, მაგრამ ვანო ამერიკაში დარჩა და

იქაურობასაც ნელ-ნელა შეეჩვია.
ეს ამერიკაში აქ კი სერგოსაც ნუ დავივიწყებთ!

გიორგი ბიჩინაშვილი

თვითმკვლელობა

როცა მძაკის შეყვარებულ გოგოს უყვარხარ. როცა, გაზაფხულის პირველი შემოსვლასავით, შენც ჩაგედვრება გულში ჯერ არ განცდილი სითბო და შეგიყვარდება, როცა თავს დატეხილ გრძნობას ვეღარ გაუძლებ და მასთან ერთად გაიპარები. როცა შურისძიების გრძნობით შეპყრობილი და გულზებოლმა შემოწოლილი შენი მძაკი აიღებს იარაღს და მჭიდში მხოლოდ ერთ ტყვიას ჩადებს. იმ ტყვიას, რომელიც შენ აჩუქე თქვენი მძაკობის სიმბოლოდ და რომელზეც თქვენი სახელებია წაწერილი. როცა დიდი ხნის ძებნის შემდეგ მაინც მოგაგნებთ. როცა გოგოს შემხედვარეს კვლავ გაუცხოველდება სიყვარული და თავისდაუნებურად გულზე შემოწოლილი ბოდმის ძაფები დაეფლითება. როცა იარაღის მჭიდს დაუწყებს წვალებას: ხან მოხსნას და ხან გაკეთებას. როცა მხოლოდ და მხოლოდ ერთ კითხვას გისვამ: რატომ? და თქვენ ვერ პასუხობთ, როცა სახესთან გაგისწორდება, როცა იარაღს ჰაერში აიშვერს და ნელ-ნელა დაიწყებს დაშვებას. როცა დროს იხელთებ, ხელს აუკრავ და წამის წინ ჯიბიდან ამოღებულ დანას ნეკნებს შორის გაუყინავ. როცა ჩაიკეცება, იატაკს გაეკვრება. როცა ცალი ხელიდან იარაღი გაუვარდება, მეორედან კი სახელებწაწერილი ტყვია ჩამოუგორდება. როცა გოგოს კივილი აყრუებს სახლს. როცა ნახულობ მჭიდს და ცარიელია. როცა ყველაფერი ძალიან უბრალო ხდება. როცა ჰაერი ფანტასტიურ სიმსუბუქეს იძენს. როცა დახედავ მძაკს და მის დაწმენდილ და ყოველნაირად გამარჯვებულ სახეზე ირონიულ ღიმილს წააწყდები...

მაშინ დატენი იარაღს, საფეთქელზე მიიბჯენ და ტვინში ჩაიჯენ თქვენი მძაკობის სიმბოლოს.

ლეგენდა სიკვდილის მძაღლისადაც

შავ კლდეზე შემომდგარი შავფეხიანი და შავგულისნადებიანი შავი სიკვდილი სისხლიანი თვლებით ჩაჰყურებს წყაროსთან ჩამოძვარ ფშვლის ულამაზეს, მხრებზე დალაღამოყრილ ახალგაზრდა გოგოს, ბროლას და თავისნაირივე შავი აზრები მიუდ-მოუდიან გულში...

დავითი ჩოკოშვილი

კაპიტანი

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!
ჩვენ გადავლახეთ ზღვა იგი, ვრცელი,
გემი ეული, გემი მებრძოლი,
გემი სიმართლის მარადჟამს მცველი
მესმის ზარების ღვთიური რეკვა,
ნავსაყუდელი გამოჩნდა ძველი,
სამშობლო მხარეს, დაღლილ მეომრებს,
კალმით ნახატი წალკოტი გველის.

(უოლტ უიტმენის მიხედვით)

უშველებელი გემი ოკეანის ცისფერ ტალღებს მიაპობდა.

გემზანზე ჩაფიქრებული მოხუცი იდგა და ჰორიზონტს გასცქეროდა. უბრალო, სადა ტანსაცმელი ემოსა, ხომალდის იალქნებით თეთრი. მჭმუნვარე სახე ჰქონდა, ნაოჭიანი შუბლითა და საოცრად ღრმა სევდიანი თვალებით. ეს იყო კაპიტანი.

იგი თავისი გულის ერთადერთ მესაიდუმლეს – თვალუწვდენელ ოკეანეს გაჰყურებდა და წარსული აგონდებოდა.

კაპიტანს ახსოვდა ხანგრძლივი მოგზაურობის ყოველი დღე.

უამრავი ფათერაკი გადახდენია ხომალდს თავს, არაერთხელ ჩავარდნილა განსაცდელში, მაგრამ კაპიტანს არასდროს მიუტოვებია იგი. არც აზოზობრებული ტალღებისთვის დაუნებებია და არც – მძვინვარე ქარიშხლებისთვის. და მაინც, მოხუცს საშინელი ნაღველი სწვავდა გულს.

ძალიან ბევრმა ვერ გაუძლო მომქანცველ მგზავრობას, ბედის მკაცრ გამოცდას და მიატოვა გემი.

ხომალდის მეთაური თითოეული მათგანის დაკარგვას ისე მტკივნეულად განიცდიდა, როგორც მამა განიცდის შვილის სიკვდილს.

კიდევ ერთხელ გაუელვა ფიქრმა, რომელიც მუდამ სტანჯავდა:

“ვედარასოდეს ვიქნებით ერთად . . .”

თვალზე ცრემლი მოადგა კაპიტანს. დანადვლიანებულმა დასავლეთით გაიხედა. ჩამავალი მზე სისხლისფრად შეღებილიყო.

ანაზღად გემზანზე ნაბიჯების ხმა მოისმა.

მოხუცი შებრუნდა და მაღალი ახალგაზრდა კაცი დაინახა.

-დროა ნავსაყუდელისკენ გავემართოთ, – უთხრა მოწინებით ახალგაზრდამ.

-არა, - მიუგო კაპიტანმა – ქვეყნად კიდევ არის ერთი ადამიანი, რომელიც ჩვენთან ერთად უნდა გამოემგზავროს.

* * *

ოთხმოც წელს გადაცილებული უსინათლო ჯაკომო ოკეანის პირას ცხოვრობდა. ახლობელი არავინ ჰყავდა, სრულ მარტობაში ატარებდა დროს.

ყოველ საღამოს გადიოდა ნაპირზე და იყურებოდა შორს, ძალიან შორს, იქ, სადაც ცა და დედამიწა უერთდება ერთმანეთს.

მართალია, ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც იდგა და საათობით გაუნძრევლად მისჩერებოდა ცარიელ სივრცეს. იქაურებს შერევილად მიაჩნდათ მოხუცი და დამსვენებლებსაც ურჩევდნენ, ახლოს არ გაჰკარებოდნენ მას.

* * *

ავვისტოს თბილი საღამო იყო. დასავლეთის ნაზი სიო უბერავდა. ცაზე ფირუზისა და ღია ლალის ფერები ებრძოდნენ ერთმანეთს.

ჯაკომო კვლავ ნაპირზე იდგა და უძრავად გაჰყურებდა ოკეანეს. ვერავინ მოთვლის, რამდენი საღამო გაეტარებინა ასე უსინათლო მოხუცს. წვიმასა თუ ქარში, თოვლსა თუ სეტყვაში ... ის სულ იქ იყო, იმედითა და რწმენითა აღსავსე.

ნიავემა ოდნავ იმატა.

უჩვეულოდ თბილი იყო სიო იმ საღამოს. რაღაც ხმა ჩაესმა ჯაკომოს შორეული და იდუმალი. ყური მიუგდო მოხუცმა. – ხმა ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

ეს იყო ოკეანის ტალღების მოტანილი არაამქვეყნიური, ღვთიური ჰანგები, დედის იავნანაზე უფრო ტკბილი ... უცებ უკუნეთ სიბნელეში, რომლის გარდაც ჯაკომო ვერაფერს ხედავდა, თეთრი წერტილი გამოჩნდა. წერტილი გაიზარდა, გაიზარდა და უმშვენიერეს გემად იქცა.

მოხუცს ვერაფრით დაეჯერებინა, რაც მის თავს ხდებოდა. ამდენი წლის შემდეგ კვლავ იხილა მზის სინათლე. იგი ხედავდა უშველებელ, თეთრაფრებიან ხომალდს, რომელიც ქარზე სწრაფად მიემართებოდა ნაპირისაკენ.

ჯაკომოს გული აუჩქარდა და სუნთქვას მოუხშირა. მისი გულიც და გონებაც ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

“ ის არის!”

რამდენი ხანი ელოდა ამ დღეს!

“ ის არის!” – არ ცხრებოდა შინაგანი ხმა.

და ჯაკომომ ველარ გაუძლო მოჭარბებულ გრძნობას. ხმამალა წამოიყვინძრა:

- ის მოვიდა! აქ არის!

ირგვლივ უამრავი ხალხი იყო. როდესაც მოხუცის შემახილი შემოესმათ, მიმოიხედეს და განსაკუთრებული არავინ დაუნახავთ. არც ხომალდი შეუნიშნავეს ვინმეს. ყველა უმაღლ მოშორდა იქაურობას, გაერიდა “ შერევილ “ ბერიკაცს. მხოლოდ ერთი პატარა ბიჭი არ იძვროდა ადგილიდან.

გემი ნაპირს მიადგა და ჯაკომომ გემბანზე გადმოდგარი კაპიტანი დაინახა.

-შენ მთელი ცხოვრება მოთმინებით მელოდი და აი, მეც აქ ვარ. მომახლოვდი ჯაკომო! – მოისმა კაპიტნის დიდებული ხმა.

ჯაკომო რაღაც უხილავემა ძალამ ჰაერში აიტაცა და თვალის დახამხამებაში გემბანზე გააჩინა.

მოხუცმა მუხლი მოიყარა და ჩუმად, ლამის ჩურჩულით წარმოთქვა:

-ყოველთვის მწამდა, რომ მოხვიდოდი, ჩემო კაპიტანო!

* * *

სანაპირო ხალხით გაივსო.

ცნობისმოყვარე, მაგრამ შიშნარევი მზერით დაჰყურებდნენ სილაზე უმოძრაოდ მისვენებულ ბერიკაცს

* * *

ზოგირთმა შეამჩნია კიდეც, წუთის წინ როგორ მსუბუქად დაეშვა მუხლებზე ჯაკომო ...

ახლა კი, იწვა თბილ სილაზე ... ღიად დარჩენილი ცისფერი თვლებით უსასრულობას მისჩერებოდა ...

არავის ენახა, ნაოჭებით დაღარული, მუდამ ტანჯული მისი სახე - ასეთი მშვიდი ...

სანაპიროზე შეკრებილები ხან თოვლივით თეთრ, უმოძრაოდ მწოლარე მოხუცს აკვირდებოდნენ და ხანაც ერთმანეთს შეავლებდნენ მზერას ...

მხოლოდ ის პატარა ბიჭი იდგა ყველასაგან მოშორებით და ოკეანეს გასცქეროდა ...

ის ნათლად ხედავდა თეთრიალქნებიან გემს, რომელიც მსუბუქად მიცურავდა ჩამავალი მზისკენ.